ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 22 აგვისტო, 2018 №198 (7743) ფასი: 60 თეთრი

შავი ზღვის უნივერსიტეტი დააყადაღეს



გვ.3

თამარ სანიკიძე: უნივერსიტეტის სახელმწიფოს ვალი დღეისთვის 715 ათასი ლარია. ეს არის მიზეზი, რომ სრულად არის დაყადაღებული მათი ქონება და შპს-ს მფლობელების წილები

„ოცნებამ“ ივანიშვილს გინება დაუწყო“

„მისი ერთგული ხალხი პარტიიდან გაყარეს“

გვ.2

გვ.4

„ოცნება“ საპრეზიდენტო კანდიდატად თუ აბაშიძეს დააყენებს, ვიცეპრეზიდენტად შეიძლება კარასინის კანდიდატურა მოგვევლინოს“

გვ.2

გოგაშვილი გადადგა. მდინარაძე და ზარდიაშვილი მას დასანახად ვერ იტანდნენ

ლადო სადღობელაშვილი: „ნაციონალები ხელისუფლებაში ბრუნდებიან“

სამართალი გვ.7

„ეფიქს ბიზნეს ჯგუფს“ ნახევარი მილიონის მითვისებას აბრალებენ

მაშველებმა მტკვარში დამხრჩვალი 30 წლის მამაკაცის ცხედარი იპოვეს

მანქანა ეზოში შევარდა და კაკლის ხეს შეეჯახა

რაჭაში ავარიას 3 ადამიანი შეეწირა

ეკონომიკა გვ.6

ივლისში კომერციული ბანკების წმინდა მოგება 24%-ით შემცირდა

2018 წელს ეკონომიკური დანაშაულის რაოდენობა გაიზარდა

როდიდან შეძლებენ ე.წ. კერძო გამსესხებლები ქონებით უზრუნველყოფილი სესხების გაცემას

ISSN 1987-9385

5 დაუახლოვდება თუ არა ევროკავშირი სამხრეთ კავკასიას მერკელის ვიზიტის შედეგად

2 ვანში 73 წლის ქალი დაიკარგა

ოჯახი ჟენია პაიკიძე-ხელაძეს სამ კვირაზე მეტია ეძებს

5 „მერკელი უნდა დავარწმუნოთ, რომ ჩვენი გზა ევროპაა“

2 საია: „თამარ ჟვანიამ „საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა ეთიკის კოდექსი“ დაარღვია“

გოგაშვილი გადადგა. მდინარაძე და ზარდიაშვილი მას დასანახად ვერ იტანდნენ

ლადო სადღობელაშვილი: „ნაციონალები ხელისუფლებაში ბრუნდებიან“

შორენა მარსაგიშვილი

სუსის უფროსის მოადგილე სოსო გოგაშვილი გადადგა. ამ ადამიანის სახელს ბევრი სჯანდაღი უკავშირდება. მას ხელისუფლებაშიც და ოპოზიციაშიც ბევრი მონინააღმდეგე გამოუჩნდა და სერიოზულად აკრიტიკებდა სამოქალაქო აქტივისტი ლადო სადღობელაშვილიც. გოგაშვილის გადადგომა, წესით, მასაც უნდა გახარებოდა. არადა, პირიქით მოხდა. სამოქალაქო აქტივისტის აზრით, გოგაშვილის წასვლა ხელისუფლებაში ნაციონალების დაბრუნებას ნიშნავს.

ვინ ებრძოდა „ოცნებიდან“ გოგაშვილს და რატომ ელოდება ხელისუფლებაში ნაციონალების დაბრუნებას? – ამაზე ლადო სადღობელაშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრება.

ლადო სადღობელაშვილი:

– იყო დრო, როცა სოსო გოგაშვილს მეც ვაკრიტიკებდი. მერე კარგად შევისწავლე მისი პიროვნება და მივხვდი, რომ ყველაფერი ისე არ იყო, როგორც ერთი შეხედვით ჩანდა. ამ ადამიანს იმიტომ გამოუცხადეს ბრძოლა, რომ რეალურად იბრძოდა ნაციონალების წინააღმდეგ. ის ლიბერასტებსაც არ მოსწონდათ. მათ ყველაფერი გააკეთეს ამ კაცის ლაფში ამოსასვრელად. ყველაფერი იმით დასრულდა, რომ გოგაშვილი წავიდა.

– თქვენი აზრით, თავისი ნებით წავიდა თუ გაუშვეს?

– სიტუაცია შეუქმნეს ისეთი, რომ პოსტი დაეტოვებინა. ამისთვის ნაციონალებმა დიდი ძალისხმევა გაიღეს. დღეს „ოცნებაში“, ფაქტობრივად, აღარ დარჩა ადამიანი, რომელიც ყოფილი ხელისუფლების გასამართლებას მოითხოვს.

– გოგაშვილი როდის ითხოვდა ნაციონალების გასამართლებას?

– მისი საქმიანობა აქეთკენ იყო მიმართული. ის ებრძოდა ნაციონალებს და სწორედ ეს არ აპატიეს.

– რით გამოიხატებოდა მისი ბრძოლა ნაციონალებთან?

– ყველაფრით. ირაკლი ღარიბაშვილის წასვლის შემდეგ „ოცნებამ“ ნაციონალებთან ღრმა კოაბიტაცია გადაწყვიტა, რასაც გოგაშვილი არ ეთანხმებოდა. ამიტომაც იყო ყოფილი ხელისუფლება სულ მის ლანძღვაში. ყველა უბედურება მას ბრალდებოდა.

– გინდათ თქვათ, რომ გოგაშვილი უმწიკვლო იყო და ტყუილად უყენებდნენ პრეტენზიებს?

– უმწიკვლო არ იყო, მაგრამ, არც იმდენს აშავებდა, რასაც აბრალებდნენ. ივანიშვილთან თუ ზუსტი ინფორმაცია მიდიოდა, ეს გოგაშვილის, ვახტანგ გომელაურისა და ანზორ ჩუბინიძის დამსახურება იყო. ერთი სიმართლის მთქმელი უკვე ჩამოიშორეს. ახლა ამ ორსაც მოიშორებენ.

– ვინ მოიშორებს?

– ვინ და ნაცები. ხშირად მითქვამს, რომ ნაცები ხელისუფლებაში ბრუნდებიან. გოგაშვილის წასვლის შემდეგ ამაში უკვე ეჭვი აღარ მეპარება. ნაცების დაბრუნება „ოცნების“ ნაწილსაც აწყობს.

– რომელ ნაწილს?

– ლიბერასტებს. ისინი ნაცებთან არიან შეკრული და ერთად ხლართავენ ინტრიგებს. გოგაშვილსაც ერთად ებრძოდნენ. ყველაზე საინტერესოა ის, რომ ეს ადამიანები პარტიის ლიდერები არიან.

– დაასახელებთ მათ ვინაობას?

– რატომაც არა. გოგაშვილს მამუკა მდინარაძე და ვანო ზარდიაშვილი ვერ იტანდნენ დასანახად. ორივე მათგანი ყოფილი ნაცია. „ოცნება“ სავსეა ყოფილი ნაცებით და არ გაგიკვირდეთ მათი ხელისუფლებაში დაბრუნება. გადახედეთ „ოცნებას“, ყველა გაუშვეს, ვინც ნაცებს ღიად ებრძოდა.

გასათვალისწინებელია ოპოზიციაც და ხალხის განწყობაც. დღეს ყველა „ოცნების“ წინააღმდეგია.

– მაგრამ ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ნაცებს დააბრუნებენ?

– ნაცები თავად დაბრუნდებიან. სხვა არც ერთ პარტიას არა აქვს იმის ფინანსური შესაძლებლობა, რომ ხელისუფლებაში მოვიდეს.

საია: „თამარ ჟვანიამ „საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა ეთიკის კოდექსი“ დაარღვია“

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განცხადებას ეხმაურება, როდესაც მან საიას კვლევას საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების თემაზე „არასერიოზული“ და „არაპროფესიონალური“ უწოდა.

როგორც საიაში აცხადებენ, სამწუხაროა, რომ თამარ ჟვანიამ დაარღვია „საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა ეთიკის კოდექსი“.

– ეთიკის კოდექსი ცესკოს თავმჯდომარეს ავალდებულებს, პატივი სცეს კანონს, იყოს სამართლიანი, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი. ასევე, საკუთარი მოსაზრებების გამოთქმისას იყოს ტაქტიანი და კრიტიკა, რომელსაც ის გამოხატავს, იყოს დასაბუთებული.

ეთიკის კოდექსი ცესკოს თავმჯდომარეს ასევე ავალდებულებს, რომ მან საკუთარი საქმიანობისას ხელი შეუწყოს დაინტერესებულ მხარეებს საარჩევნო პროცესთან ან საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციისა და დოკუმენტების მიღებაში, იყოს კომუნიკაბელური და თავი აარიდოს პირადი თუ სხვა სახის კონფლიქტების წარმოშობას.

საია წლებია აკვირდება საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების პროცესს და საუბრობს ამ პროცესის დროს გამოვლენილ ხარვეზებსა და მათი გადაჭრის გზებზე.

გვსურს, ასევე აღვნიშნოთ, რომ კვლევაზე მუშაობისას, საიამ თხოვნით მიმართა ცესკოს თავმჯდომარეს და საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების მიმდინარე პროცესთან დაკავშირებით შეხვედრა მოითხოვა. ცესკოს თავმჯდომარემ უარი განაცხადა შეხვედრაზე. ცესკომ არჩია, რომ საჯარო განცხადებით შემოფარგლულიყო, რომელშიც, უნდა აღინიშნოს, რომ ვერ დაასაბუთა ჩვენს კვლევაში წარმოდგენილი ინფორმაციის მცდარობა.

საია მოუწოდებს საარჩევნო ადმინისტრაციასა და მის ხელმძღვანელს, საქმიანობის განხორციელებისას იყოს კორექტული და კრიტიკული მოსაზრებები დაასაბუთოს, – ნათქვამია საიას განცხადებაში.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე თამარ ჟვანიას განცხადებით, არასერიოზული და არაპროფესიონალურია, როდესაც საია-ს ცალკეული წარმომადგენელი დაკავებულია ნათესაური კავშირების დადგენით, ნაცვლად იმისა, რომ დააკვირდნენ ამ ადამიანების საარჩევნო საქმიანობას. მისივე თქმით, არასამთავრობო ორგანიზაციის მთავარი ფუნქცია უნდა იყოს საარჩევნო საქმიანობის მონიტორინგი და არა ნათესაური კავშირების დადგენა.

– საარჩევნო ადმინისტრაცია ირჩევს ადამიანებს პროფესიული ნიშნით. ეს ადამიანები წლების განმავლობაში მუშაობდნენ, აქვთ ძალიან დიდი გამოცდილება და ჩვენ არ ვართ დაკავებული ნათესაური კავშირების დადგენით, – განაცხადა თამარ ჟვანიამ.

საია-ს ინფორმაციით, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების მონიტორინგის ფარგლებში, ცესკო-ს მიერ მიერ შერჩეული 73 დროებითი წევრიდან 5 შემთხვევაში გამოიკვეთა შერჩეული პირების „ქართული ოცნების“ აქტივისტობა/მხარდაჭერა, ხოლო 6 შემთხვევაში – არჩეული პირების ცესკო-სა და სუს-ის მაღალი თანამდებობის პირებთან ოჯახის წევრობა/ნათესაური/მეგობრული კავშირები.

„ოცნებამ“ ივანიშვილს გინება დაუწყო“

„მისი ერთგული ხალხი პარტიიდან გაყარეს“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ გაყარეს „ოცნებიდან“ ივანიშვილის ნამდვილი მხარდამჭერები, ვინ ებრძვის საქართველოს შეიარაღებულ ძალებს, რა სიები უნდა გამოაქვეყნოს თავდაცვის სამინისტრომ? — ამ თემებზე „ახალ თაობას“ უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე ესაუბრება.

ნიკოლოზ მჟავანაძე: „ქვეყანას პატრონი აღარ ჰყავს“

ნიკოლოზ მჟავანაძე:

– დღეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს პატრონი არ ჰყავს. ჩვენ ხშირად და სამართლიანადაც ვაგინებთ მიხეილ სააკაშვილს, მაგრამ მის დროს ჯარის მიმართ ასეთი დამოკიდებულება არ ყოფილა. ის ნაგიჟარი სამხედრო თემატიკაზე კლიპებს იღებდა. იმის თქმას ხმამაღლა ვერავინ გაბედავდა, ახალგაზრდებო, ჯარში არ წახვიდეთო.

მაშინ რომელიმე ორგანიზაცია თავდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ რომ წასულიყო და ახალგაზრდები ჯარისგან დაეხსნა, მის წევრებს ან დაიჭერდნენ, ან გააუპატიურებდნენ, ანდა ფეხებით დაკიდებდნენ.

გაუპატიურების სასტიკი წინააღმდეგი ვარ, მაგრამ ფეხებით დაკიდება კი ალალი იქნებოდა მაგათზე.

– უფლებადამცველისგან ცოტა ძნელი მოსასმენია ის, რომ ვიღაცის ფეხებით დაკიდებას მიესალმებით.

– მე, პირველ რიგში, ვარ ჩემი ქვეყნის პატრიოტი. მსოფლიოში არ არსებობს ქვეყანა, სადაც რომელიმე ორგანიზაცია ასე ღიად ჯარის წინააღმდეგ წასვლას გაბედავდა. „გირჩმა“ რაღაც რეგულაციები გამოიგონა ჯარიდან ახალგაზრდების დასახსნელად და ჩვენმა უვიცმა მთავრობამ ეს ყველაფერი დააკანონა. ახალგაზრდებს ეუბნებიან, ჯარში სამსახური თუ არ გინდათ, წადით და მეხანძრეებად იმუშავეთო. რას ნიშნავს, მეხანძრეებად იმუშაონ. ჩვენი ტერიტორიების 22% ოკუპირებულია და, ფაქტობრივად, საომარ მდგომარეობაში ვიმყოფებით. კაცმა არ იცის, როდის დაიწყება ომი. ასეთ დროს შეიძლება ახალგაზრდებს უთხრა, ჯარი თუ არ გინდათ, სხვა საქმე გააკეთეთო? ჯარიდან გათავისუფლება კი არა, მე თუ მკითხავთ, ქალიანკაციანად ყველამ უნდა გაიაროს სამხედრო მომზადება.

– ქალებმა რატომ უნდა გაიარონ სამხედრო მომზადება?

– იმიტომ! ეს ფემინისტკა ქალები პარლამენტში წამოჯდომასა და კაცებთან გათანაბრებას რომ ითხოვენ, ჯარში წასვლა რატომ არ უნდათ? კეთილი ინებონ და ქალებიც წავიდნენ ჯარში.

– აქამდე ქართველი კაცები იძახდით, ქალის ადგილი კუხნაშიაო და ახლა ჯარში უშვებთ?

– არავითარი კუხნა! სად მნახეთ, რომ ასეთ რამეს ვამბობდი? საქართველოში ქალები ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ და, როცა სამშობლოს უჭირდა, კაცების გვერდით იბრძოდნენ. ისრაელი ჩვენზე ნაკლები რითია, რომ იქ ქალები ჯარში მიდიან? როგორც სახელმწიფო, ისრაელი ჩემთვის მისაბაძია.

– რადგან ქალები მიდიან ჯარში?

– ბევრი რამის გამო. ჩემი მეგობარი ისრაელის მოქალაქეა და იქ ცხოვრობს. მისი შვილი იქაურ ჯარი მსახურობს და ეს ჩემი მეგობარი გადარეულია, ამბობს, ისრაელში ჯარგამოვლილებს საოცარი პატივისცემით ეპყრობიანო.

მისი თქმით, როდესაც სამსახურში ადამიანს იღებენ, პირველ რიგში იმას კითხულობენ, მოხდილი აქვს თუ არა მას სამხედრო სამსახური. თუ ახალგაზრდა ჯარში ნამყოფია, მას მაშინვე იღებენ სამსახურში, მის კონკურენტს ათასი ოქსფორდი და კემბრიჯიც რომ ჰქონდეს დამთავრებული, მაგას არავინ შეხედავს.

ისრაელში ასე თვლიან, ახალგაზრდა ჯარში იყო? მან ჩვენი გულისთვის სისხლი დაღვარა, იბრძოლა და ის დაფასების ღირსია. ნებისმიერი თავმოყვარე ქვეყანა ასე ექცევა თავის სამხედროებს.

ჩვენთან რა ხდება? ხელისუფ-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

შავი ზღვის უნივერსიტეტი დააყადაღეს

ნონა ცაბაძე

ავტორიზაციის საბჭომ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს სტუდენტების ახალი ნაკადის მიღება ერთი წლით შეუზღუდა. უნივერსიტეტში აღნიშნეს უსამართლოს უწოდებენ.

თამარ სანიკიძე: უნივერსიტეტის სახელმწიფოს ვალი დღეისთვის 715 ათასი ლარია. ეს არის მიზეზი, რომ სრულად არის დაყადაღებული მათი ქონება და შპს-ს მფლობელების წილები

განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი თამარ სანიკიძე აცხადებს, რომ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს აბიტურიენტების მიღება ერთი წლით სრულიად კანონიერად შეეზღუდა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის განცხადებაში ნათქვამია: „ფინანსურმა პრობლემებმა, რომელთა წინაშეც შავი ზღვის უნივერსიტეტი დგას, შესაძლოა სასწავლო პროცესი სერიოზული რისკების წინაშე დააყენოს. უნივერსიტეტს სახელმწიფოს წინაშე აქვს შეუსრულებელი ფინანსური დავალიანება (ასევე დაყადაღებული უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც კანონმდებლობით დადგენილი გადასახადებისგან თავის არიდების გამო დაუწესდა. იმისთვის, რომ გათვალისწინებული იყოს სტუდენტთა ინტერესები, მათთვის სასწავლო პროცესთან დაკავშირებით რისკების თავიდან ასაცილებლად უნივერსიტეტს სტუდენტების მიღების უფლება 1 წლის ვადით შეეზღუდა. უნივერსიტეტის მოქმედი სტუდენტები ჩვეულ რეჟიმში გააგრძელებენ სწავლას. შეზღუდვა ეხებათ მხოლოდ იმ აბიტურიენტებს, რომელთაც წელს აირჩიეს შავი ზღვის უნივერსიტეტი. მათთვის გამოცხადდება რიგგარეშე მობილობა გამარტივებული წესით. ისინი აირჩევენ სხვა ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს. შესაბამისად, შეძლებენ ახალი სასწავლო წლის შეუფერხებლად დაწყებას“.

„ახალი თაობა“ კომენტარისთვის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელ თამარ სანიკიძეს დაუკავშირდა.

– ქალბატონო თამარ, რა გახდა შავი ზღვის უნივერსიტეტისთვის აბიტურიენტების მიღების შეზღუდვის მიზეზი?

– უნივერსიტეტს დავალიანება აქვს სახელმწიფოს მიმართ, რაც სტუდენტების მიღების შეჩერების მიზეზი გახდა.

– შავი ზღვის უნივერსიტეტ ში აცხადებენ, რომ საბჭოს გადაწყვეტილება უკანონოა.

– ვფიქრობ, საბჭომ მაქსიმუმი გააკეთა იმისთვის, რომ მიეღო კანონიერი გადაწყვეტილება. უნივერსიტეტმა ავტორიზაცია მიიღო, მიუხედავად იმისა, რომ დადასტურდა ძალიან მძიმე სურათი, რომელიც დღეს აქვს უნივერსიტეტს. მათ უკვე დავა აქვთ სახელმწიფოსთან იმ თანხასთან დაკავშირებით, რომლის გადახდაც ეკუთვნით სახელმწიფო ბიუჯეტში. თავის დროზე დაფიქსირდა, რომ ისინი გადასახადის გადახდას არიდებდნენ თავს.

– რა თანხაზეა საუბარი?

– დღეისთვის ეს თანხაა 715 ათასი ლარი. ეს არის მიზეზი, რომ სრულიად არის დაყადაღებული მათი ქონება და შპს-ს მფლობელების წილები.

– აღნიშნული უნივერსიტეტის სტუდენტებს ხომ არ შეექმნებათ პრობლემები?

– არსებულ სტუდენტებს არანაირი პრობლემა არ შეექმნებათ. ისინი ჩვეულ რეჟიმში გააგრძელებენ სწავლას. შეზღუდვა ეხებათ მხოლოდ იმ აბიტურიენტებს, რომლებმაც წელს აირჩიეს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი. მათთვის ჩვენ გამოვაცხადებთ რიგგარეშე მობილობას, ჯერ უბრალოდ რამდენიმე დღე დაველოდებით რანჟირების დოკუმენტს, რომ ზუსტად ვნახოთ, ვინ მოიპოვა ამ უნივერსიტეტში ჩარიცხვის უფლება და წელს მათ შევთავაზებთ სხვა ავტორიზებულ დაწესებულებებს, რომ შეუფერხებლად დაიწყონ სასწავლო წელი.

შავი ზღვის უნივერსიტეტის ადმინისტრაცია განცხადებას ავრცელებს: „ავტორიზაციის საბჭომ უსამართლოდ შეუზღუდა სტუდენტთა ახალი ნაკადის მიღება ერთი წლით. როგორც განცხადებაშია ნათქვამი, უნივერსიტეტმა აპრილში წარმატებით გაიარა ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება ექსპერტთა ჯგუფის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბრიტანელი სპეციალისტი ენდი გიფსი და შემდეგ აგვისტოში მას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ ექვსი წლით მიენიჭა ავტორიზაცია.

ამავდროულად, საბჭომ მიიღო სრულიად ალოგიკური და ექსპერტების დასკვნასთან შეუსაბამო გადაწყვეტილება. მან უგულებელყო ექსპერტების დადებითი დასკვნა და უნივერსიტეტს 2019 წლის 20 აგვისტომდე სტუდენტთა ნაკადის მიღება შეუჩერა.

ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გაცხადებული მიზეზი ისაა, რომ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს 2013 წელს დაეკისრა საგადასახადო ჯარიმა. ჯარიმის ოდენობა ამჟამად 700.000 ლარს შეადგენს და მისი სამართლიანობის შესახებ სასამართლო დავა მიმდინარეობს. ამ ჯარიმის გამო უნივერსიტეტის ქონებას ყადაღა დაადეს, თუმცა შემოსავლების სამსახურმა შემდგომში ეს ყადაღა გააუქმა, რაც საბჭოს არ გაუთვალისწინებია“.

როგორც შავი ზღვის უნივერსიტეტის ადმინისტრაციის განცხადებაშია ნათქვამი, სასამართლოს დავის წაგების შემთხვევაში უნივერსიტეტი მზადაა, დაფაროს საგადასახადო ჯარიმა და საბჭოს გადაწყვეტილებას უსაფუძვლოსა და უსამართლოს უწოდებს.

„800-მდე სტუდენტის არჩევანი, ესწავლათ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში, იგნორირებულ იქნა. საბჭომ ისინი აიძულა, გადანაწილებულიყვნენ სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. ავტორიზაციის საბჭოს უპასუხისმგებლო გადაწყვეტილება აფერხებს საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგული და საერთაშორისო ცნობადი უნივერსიტეტის განვითარებას, რომელსაც აქვს 23- წლიანი წარმატებული საგანმანათლებლო საქმიანობის გამოცდილება,“ – ნათქვამია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის განცხადებაში.

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია არასამთავრობო სექტორს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, დიპლომატიურ კორპუსსა და მთლიანად სამოქალაქო საზოგადოებას მხარდაჭერას სთხოვს და ხელისუფლებასაც მიმართავს, მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა არ შეილახოს ქვეყნის საერთაშორისო რეპუტაცია, დემოკრატიული ღირებულებები, სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლება და დაიცვას საგანმანათლებლო სივრცე არაჯანსაღი გავლენებისგან.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი თამარ შიოშვილი ჟურნალისტებთან საუბრისას აცხადებს, რომ მისთვის სრულიად გაუგებარია, რატომ შეუჩერდა უნივერსიტეტს სტუდენტების მიღების უფლება.

– ამბობენ, ფინანსური პრობლემების გამოო.

– უნივერსიტეტს არანაირი ფინანსური პრობლემა არ გააჩნია. ეს გადაწყვეტილება ჩვენთვის გამაოგნებელი იყო, იმიტომ რომ აპრილში ავტორიზაცია წარმატებით გავიარეთ. ექსპერტები აცხადებენ, რომ ჩვენი უნივერსიტეტი შეესაბამება მაღალ სტანდარტებს.

– მაშინ რა მოხდა?

– არ ვიცი, რა მოხდა, მაგრამ ეს ძალიან ცუდად იმოქმედებს სტუდენტებზე. ეს მათი უფლებების დარღვევაა. ჩვენ ყოველწლიურად მოწვეული გვყავს უცხოელი პროფესორები, რომლებიც ამბობენ, რომ ეს არის მაღალი სტანდარტების მქონე უნივერსიტეტი. არც ფინანსურად უჭირს უნივერსიტეტს. მე ვერ ვხედავ ვერანაირ ფინანსურ გასაჭირს. არ ვიცი, რა გითხრათ. არ ვიცი, რატომ შეუჩერეს უნივერსიტეტს სტუდენტების მიღების უფლება.

აი, რას წერენ ის აბიტურიენტები სოციალურ ქსელში, რომლებიც შავი ზღვის უნივერსიტეტის სტუდენტები უნდა გამხდარიყვნენ.

ს.ნ. – მთელი დღეა ვფიქრობ და ვერ ვაცნობიერებ, ნუთუ ეს ყოველივე სიმართლეა?! ნუთუ ვერ შევძლებ იმ დიდი მიზნის შესრულებას, რომელიც მხოლოდ იბსუს უკავშირდებოდა? დაჯილდოებაზე მოსვლისთანავე მივხვდი, რომ იბსუ იყო ის, რასაც ვეძებდი: არნახული წარმატების გარანტი, პერსპექტივა... ის იყო ის ნათელი წერტილი, რომელსაც იმედით შევყურებდი! არ შეიძლება, ეს ყოველივე სიმართლეს შეესაბამებოდეს! მიჭირს შეგუება! სულ მცირე იმედს ვებღაუჭები, რომელიც მასულდგმულებს. ჩვენ ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, სადაც განათლების მიღების შესაძლებლობა არ გვაქვს.

ნ.ტ. – ვერ ვიძინებ, არ მასვენებს იმაზე ფიქრი, რომ სტუდენტურ წლებს ვერ გავატარებ იბსუში. ყველანაირი ხალისი და მოტივაცია გაქრა ასე უცბად. არ მჯერა, რომ ასე უბრალოდ გვართმევენ არჩევანის უფლებას, ვისწავლოთ ეს ოთხი წელი იქ, სადაც ჩვენ გვინდა. საერთოდ აღარ ველოდები ჩარიცხვის დღეს, უკვე სულ ერთია... ასე რატომ უნდა ვიყოთ? როცა ცხოვრების ახალი ეტაპი იწყება და უკვე ასეთი იმედგაცრუება გვხვდება, მერე ძნელია ყველაფერი... ამ ქვეყანაზე გული უფრო და უფრო მიცრუვდება.

ე.ლ. – აბიტურიენტების რა პასუხი გაქვთ? განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს? დღეს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი იმაში, რომ საქართველოს განათლების სისტემა საკმაოდ ღრმა უფსკრულში „გდია“. ჩვენზე არ იფიქრეთ? რა უნდა ვქნათ მათ, ვისაც ამდენი გვიფიქრია აქ ჩაბარებაზე და ახლა 2 დღეში უნდა გადავწყვიტოთ ჩვენი მომავალი? და რის გამო? კამპუსის ყადაღის, რომელიც არანაირ კავშირშია თავად განათლების ხარისხთან! ისტერიკა მჭირს, სხვა უნივერსიტეტის ხსენებაც არ მინდა!

ეკატერინე შაფათავამ, რომლის ორივე გოგონა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში სწავლობს, ჩვენთან საუბარში განაცხადა:

– მე და ჩემი შვილები ვგმობთ ავტორიზაციის საბჭოს სრულიად უსამართლო და მიზანმიმართულ მავნებლურ გადაწყვეტილებას იბსუსთან მიმართებით. მე და ჩემი შვილები ვმონაწილეობთ განათლების სამინისტროსთან გამართულ საპროტესტო აქციაში. ყველა შემოგვიერთდით! ერთად დავიცვათ კონსტიტუციით გათვალისწინებული ჩვენი შვილების თავისუფალი არჩევანისა და ხარისხიანი უმაღლესი განათლების მიღების უფლება!

ვანში 73 წლის ქალი დაიკარგა

ოჯახი ჟენია პაიკიძე-ხელაძეს სამ კვირაზე მეტია ეძებს

ვანის მუნიციპალიტეტში, სოფელ სულორში, ოჯახი 73 წლის ჟენია პაიკიძე-ხელაძეს ეძებს. როგორც დაკარგულის შვილმა გაზეთ „ახალ თაობას“ განუცხადა, დედამისი სახლიდან 3 აგვისტოს გავიდა და მას შემდეგ უშედეგოდ ეძებენ.

დიოლა პაიკიძე – დაკარგულის შვილი:

– დედაჩემი სოფელ სულორში მარტო ცხოვრობდა. ბოლოს ორ აგვისტოს ვესაუბრე. სამში რომ დავრეკე, ზარებს აღარ პასუხობდა, შევშინდი და მეზობლებს ვთხოვე დახმარება. დედაჩემს ჯანმრთელობის პრობლემები არ ჰქონია. არანაირი ვერსია არ გვაქვს, სად შეიძლებოდა წასულიყო. საზოგადოებას დახმარებას ვთხოვთ. გთხოვთ, მიიტანეთ ჩემი გაჭირვება გულთან და, თუ რამე ვერსიას ფლობთ, დაგვიკავშირდით ოჯახს შემდეგ ნომერზე: 599 70 39 96.

„ახალი თაობა“ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუკავშირდა. როგორც უწყებაში განმარტავენ, შესული შეტყობინების საფუძველზე შექმნილია სამძებრო საქმე და დაკარგულის მოსაძებნად აქტიური მუშაობა მიმდინარეობს. მათივე ინფორმაციით, სამძებრო სამუშაოებში ჩართული არიან სამაშველო სამსახურის წარმომადგენლებიც.

ლირის გაუფასურების გამო თურქეთში მყოფი ქართველი ემიგრანტები საქართველოში ბრუნდებიან

ბოლო პერიოდში თურქული ლირის გაუფასურებამ არა მხოლოდ ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს შეუქმნა პრობლემები, არამედ ეს დიდი დარტყმა აღმოჩნდა თურქეთში მომუშავე ქართველი ემიგრანტებისთვისაც. როგორც ირკვევა, აგვისტოს თვეში თურქული ვალუტის მკვეთრმა რყევებმა ემიგრანტების დიდ ნაწილს ფინანსური პრობლემები შეუქმნა და სამშობლოში ბრუნდებიან.

45 წლის დალი პატარქალაშვილი ერთ-ერთი ქართველი ემიგრანტია, რომელიც თურქეთში ცხოვრობდა, მუშაობდა და ფულს ოჯახს უგზავნიდა. კომერსანტთან საუბარში დალი პატარქალაშვილი აღნიშნავს, რომ ლირის დაწევით მან იმდენად დიდი ფინანსური ზარალი ნახა, რომ დროებით ოჯახთან დაბრუნება არჩია.

– სანამ ლირა გაუფასურდებოდა, სულ ცოტა, ანაზღაურება 500 აშშ დოლარი გამომდიოდა, ბოლოს კი 300 აშშ დოლარიც კი არ გამოვიდა მთლიანობაში. უბრალოდ, სხვა გზა აღარ დამრჩა, იმდენად რთულ სიტუაციაში ვიყავი. აქეთ ფულს ვერ ვაგზავნიდი, რაც საჭირო იყო იმდენს და იქ მით უმეტეს, კაპიკი არ მქონდა. ვერ დაველოდებოდი მოვლენების განვითარებას. მე არ ვიცი, როდის გამოსწორდება ეს სიტუაცია და იმხელა ვალებს ვერ დავიდებდი, რასაც ვერ მერე გადავიხდი. ახლა აქ ვარ, ჩემს ოჯახთან და ჯერ არ ვაპირებ დაბრუნებას, – გვიამბობს დალი პატარქალაშვილი.

მისივე თქმით, მსგავსი გამოცდილება ბევრმა ქართველმა ემიგრანტმა გაიზიარა. არიან ისეთებიც, რომლებიც გეგმავდნენ სტამბოლში მოხუცის მოსავლელად წასვლას, მაგრამ გადაიფიქრეს.

– როცა საქართველოში ვბრუნდებოდი, ავტობუსში უამრავი ქალი იყო. საუბარში გავარკვიე, რომ მათაც იმავე მიზეზით მიეტოვებინათ სამსახურები, რომლითაც მე. ისინიც დაბრუნდნენ სახლებში და ასეთი ძალიან ბევრია. შეიძლება ციფრები ჯერ საგანგაშო არ არის, მაგრამ თუ ლირა არ აიწევს, მაშინ ასე გაგრძელდება. საბოლოოდ ყველა ჩამოვა. საქართველოში სამსახური არ არის და რა გვეშველება არ ვიცი. არიან ისეთებიც, რომლებიც გეგმავდნენ თურქეთში წასვლას და გადაიფიქრეს. მაგალითად, ჩემი ახლობელი. საერთო ჯამში, ეს ალბათ ქართველი ემიგრანტებს რაოდენობას თურქეთში შეამცირებს, სამაგიეროდ ჩვენს ქვეყანაში უმუშევართა რიცხვს გაზრდის, – აღნიშნავს დალი პატარქალაშვილი.

რაც შეეხება საერთო მოცულობას, არაოფიციალური სტატისტიკით, თურქეთი რეიტინგში მეოთხე ქვეყანაა და იქ მყოფი ქართველი ემიგრანტების რაოდენობა 100 ათას უტოლდება. სიაში პირველია რუსეთი (800 ათასი), საიდანაც 285.915 (2009წ.) რუსეთის ფედერაციის მოქალაქეა. მეორე ადგილს იკავებს საბერძნეთი (250 ათასი), თუმცა აქედან 100.000-მდე ეთნიკური ბერძენია. მას მოსდევს უკრაინა (150 ათასი). მეოთხე პოზიციას, როგორც გითხარით იკავებს თურქეთი, მის შემდეგ კი ამერიკის შეერთებული შტატებია (80 ათასი). მეექვსე პოზიციას ინარჩუნებს აზერბაიჯანი (35.000), შემდეგ – ესპანეთი (30 ათასი), გერმანია (25 ათასი) და ა.შ. საერთო ჯამში, არაოფიციალურად საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეების რაოდენობა 2 მლნ-მდე ადამიანს შეადგენს.

შეგახსენებთ, თურქულმა ლირამ აშშ დოლართან გაუფასურება ივნისიდან დაიწყო. ბლუმბერგის მონაცემებით, კურსის ვარდნამ პიკს 12 აგვისტოს მიაღწია და 1 აშშ დოლარის ღირებულებამ 6.46 ლირა შეადგინა.

ნონა ცაბაძე

„ოცნება“ საპრეზიდენტო კანდიდატად თუ აბაშიძეს დააყენებს, ვიცეპრეზიდენტად შეიძლება კარასინის კანდიდატურა მოგვევლინოს“

ივანიშვილს უნდა, პრეზიდენტი იყოს ისეთი ადამიანი, რომლის ერთადერთი ამოცანა იქნება ნაციონალური მოძრაობისა და მიხეილ სააკაშვილისთვის რამის დაშავება

„ახალი თაობის“ კითხვებს ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე რომან გოცირიძე პასუხობს.

– ბატონო რომან, კეთდება შეფასებები, რომ გუბერნატორების ცვლილება, სუს-ის პირველი მოადგილის, სოსო გოგაშვილის გადაყენება, ეს ყველაფერი წინა საარჩევნო სამზადისია ხელისუფლების მხრიდანო. რას იტყვით თქვენ, რისთვის ემზადება ხელისუფლება?

– ყველაფერი, რაც ბოლო პერიოდში ხდება, დაკავშირებულია საპრეზიდენტო არჩევნებთან. ბიძინა ივანიშვილის პარტიაში დაბრუნება, ახალი მთავრობის ფორმირება, რომელიც იმაზე კიდევ უფრო მორჩილია, ვიდრე იყო წინა მთავრობა. ფაქტიურად მთავრობის კომპეტენცია და ხარისხი უკიდურესად დაბალ დონეზე დაეცა. ელემენტარული განსხვავებული აზრის გამოთქმაც და შეკამათებაც კი არ შეუძლიათ. გუბერნატორების შეცვლა, სუსში ეს ახალი გადაჯგუფებები, ეს არის ამ კრიზისიდან ადმინისტრაციული ხერხებით გამოსვლის მცდელობა.

– კრიზისია აქვს „ოცნებას“?

– ხელისუფლებაში სერიოზული კრიზისია. უკვე ოფიციალურად არის აღიარებული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, რომ საქართველოში, ამ ხელისუფლების პირობებში, გაიზარდა სიღარიბე და სწორედ ეს არის გამოტანილი ვერდიქტი მათ 6-წლიან წარუმატებელ მუშაობაზე. კიდევ უფრო მეტად ამძიმებს ვითარებას ის, რომ „ქართულ ოცნებას“ რეალურად არ მისცა ივანიშვილმა მეტნაკლებად კონკურენტუნარიანი საპრეზიდენტო კანდიდატის დასახელების უფლება.

– რატომ არ მისცა?

– აქ სახეზეა დიდი შიდა უკმაყოფილება. რა თქმა უნდა, ამას ღიად და თამამად ვერ გამოთქვამენ, რადგან ყველას ეშინია ივანიშვილის საწინააღმდეგო მოსაზრების გამოთქმის. თუმცა, ისინი რეალურად გრძნობენ ამ არჩევნებში დამარცხების საფრთხეს. ამას ბევრი გრძნობს ივანიშვილის უცნაური ახირებების გამო, რომელიც საპრეზიდენტო კანდიდატს უკავშირდება.

– უცნაურ ახირებებში რას გულისხმობთ?

– მას უნდა პრეზიდენტი იყოს ისეთი ადამიანი, რომლის ერთადერთი ამოცანა იქნება ნაციონალურ მოძრაობისა და მიხეილ სააკაშვილისთვის რამის დაშავება. არა მარტო პარტიაში, მთელი საზოგადოება ხედავს, რომ ერთი მხრივ ეს არის წამგებიანი საარჩევნო კუთხით და მეორე მხრივ ძალიან დიდი რისკის შემცველი სამომავლოდ, როდესაც უკვე დადგება თუნდაც საქართველოს საკითხი საერთაშორისო არენაზე, საქართველოს ოკუპაციის საკითხი. საქართველო პროცესს აწარმოებს რუსეთის წინააღმდეგ სხვადასხვა სასამართლოებში.

– ეს რა კავშირშია არჩევნებთან?

– ის პოზიციები, რომელიც მათმა მხარდაჭერილმა კანდიდატმა გაახმოვანა, ეს უკიდურესად საშიშია ჩვენი ქვეყნისათვის და ამას კარგად გრძნობენ თავად სახელისუფლო პარტიაშიც, რომ ამნაირი პოზიციით არჩევნებში გამარჯვება შეუძლებელია და უკვე იწყება ახალი კანდიდატის ძიება.

– ვინ შეიძლება იყოს ეს ახალი კანდიდატი?

– ამ ერთი თვის წინაც გაიჟღერა ამ სასაცილო ვერსიამ ბიძინა ივანიშვილის მხრიდან, თუმცა ეს ვერსია სულაც არ არის სასაცილო. ივანიშვილმა თავად თქვა, რომ ის ფიქრობდა რამდენიმე კანდიდატზე, მათ შორის სოზარ სუბარზე, წულუკიანსა და ზურაბ აბაშიძეზე. ახლა ისე მიდის სიტუაცია, რომ შესაძლოა ზურაბ აბაშიძის კანდიდატურას დაუჭირონ მხარი.

– ამ ინფორმაციამ უკვე გაიჟღერა, ფიქრობთ, რომ ამაზე მუშაობს „ოცნება“?

– ამაზე საერთოდ რა კომენტარი უნდა გავაკეთო. ალბათ მალე კონსტიტუციასაც შეგვიცვლიან და საპრეზიდენტო კანდიდატად თუ აბაშიძეს დააყენებენ, მაშინ არ არის გამორიცხული, ვიცე-პრეზიდენტად კარასინის კანდიდატურა მოგვევლინოს.

– თქვენ ფიქრობთ, რომ სერიოზულად განიხილება აბაშიძის კანდიდატურა? მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ ზურაბი შვილის კანდიდატურა უკვე ჩაფლავებულია და ივანიშვილი ისტერიულად ეძებს ვინმე სხვასო. თქვენც ასე ფიქრობთ?

– აბაშიძის კანდიდატურა სერიოზულად განიხილებოდა და ეს არის ძალიან საგანგაშო. ეს თავად აღიარა ბიძინა ივანიშვილმა, როდესაც მას ჰქონდა საუბარი საპრეზიდენტო კანდიდატებთან დაკავშირებით. მე არ მგონია, ეს ასე მოხდეს, რადგან საზოგადოების რეაქცია კიდევ უფრო ძლიერი და მკაცრი იქნება, ვიდრე სალომე ზურაბიშვილთან დაკავშირებით. ამიტომ ძალიან დიდ საგონებელშია პარტია, რომელიც ერთი კაცის ხუშტურზეა აგებული. მათ არა აქვთ არანაირი პოლიტიკური რესურსი, რომ დაუპირისპირდნენ. მათი რესურსი არის მხოლოდ და მხოლოდ ის, რომ სადღაც კულუარებში უკმაყოფილება გამოთქვან.

– ვინ იქნება ის დამოუკიდებელი კანდიდატი, ვისაც მხარს დაუჭერს „ქართული ოცნება“? ან აქამდე რატომ აჭიანურებენ ამ პროცესს?

– „ოცნების“ რეალური კანდიდატი ვინ იქნება, ეს არ იცის ჯერ არც თავად ბიძინა ივანიშვილმა. პოლიტსაბჭოს ხომ საერთოდ არავინ არაფერს ეკითხება. ვისაც ივანიშვილი დაასახელებს, შემდეგ „ოცნება“ დაიწყებს მის გაპიარებას. ვინაიდან სალომე ზურაბიშვილის მიმართ სკეპტიკურ ნოტებს გამოთქვამს პრემიერ-მინისტრიც და სხვებიც, გუნდში არის ძალიან დიდი დაბნეულობა. ყველაფერია მოსალოდნელი. როდესაც შიდა კვლევებს ჩაატარებენ და უყვართ ხოლმე ასეთი კვლევების ჩატარება, დაინახავენ, რომ ვერც სუს-ში გადაადგილებები და ვერც გუბერნატორების ცვლილება ვერ უშველით, ეს მათ გამარჯვებას ვერ უზრუნველყოფს.

– რა იქნება მაშინ?

– აი მაშინ, არ არის გამორიცხული, ივანიშვილმა თავადაც გარისკოს. რეალურად დღეს ცსკო გადაიქცა ამ მონჯღრეული სახელმწიფო მანქანის მეოთხე ბორბლად. მთავრობა, პარლამენტი, სასამართლო და ახლა დაემატა მეოთხე ბორბალი ცსკ-ო და ყველა ეს ორგანო ემსახურება მათ ხელისუფლებაში დარჩენას. ამ ოთხეულს უნდათ დაამატონ ადმინისტრაციული რესურსიც, თუმცა ესეც არ შველით და არიან ისტერიკაში. ზრუნავენ არჩევნებისთვის ყველა მიმართულებით, თუმცა ამ დრომდე კანდიდატი არა ყავთ.

– ანუ ბოლო წუთს შესაძლოა სიურპრიზი შემოგვთავაზოს ივანიშვილმა და თავად დააყენოს კანდიდატურა?

– ორი სიურპრიზი შეიძლება იყოს. ერთი, თუ დაასახელებს საკუთარ თავს და მეორე, კარასინს მიანიჭებს მოქალაქეობას.

დასაწყისი მე-2 გვერდზე

„ოცნებამ“ ივანიშვილს გინება დაუწყო“

ლება მთელ შეიარაღებულ ძალებს ლაფში სვრის. ჯარის ამოსვრა და უპატივცემულობაა, „გირჩი“ ასეთი გაბლატავებული რომ არის.

– ხელისუფლებამ რა უნდა გააკეთოს?

– მიიღოს ისეთი კანონი, რომ ვერავინ გაბედოს ჯარის წინააღმდეგ წასვლა. ის, რასაც „გირჩი“ აკეთებს, არის ქვეყნისა და ჯარის შეურაცხყოფა. რა უნდა მოვთხოვოთ სამხედროებს, რომლებსაც პირდაპირ ეუბნებიან, ფეხებზე გვკიდიხართ, თავში ქვა გიხლიათ და სულ დახოცილხართო.

ნორმალურ ქვეყანაში ჯარისკაცებს სცემენ პატივს. საქართველოში ბოზებს, ნაძირლებსა და პიდარასტებს აფასებენ. ეს პიდარასტები არ ამოიღოთ, სიტყვასიტყვით დაწერეთ, რაც ვთქვი.

„გირჩის“ ასეთი გათავხედება ამ ხელისუფლების სირცხვილია. მაგათ გათავხედებაში მედიასაც დიდი წვლილი მიუძღვის.

– მედია რაღა შუაშია?

– რას ჰქვია, რა შუაშია? გამუდმებით მაგათ იწვევენ ეთერში. მაინტერესებს, რატომ უნდა ახდენდეს მედია იმ ორგანიზაციის პოპულარიზაციას, რომელიც ქართულ ჯარსა და ეკლესიას ებრძვის. რომელ არხზეც არ უნდა გადართო, ყველგან ეს „გირჩები“ სხედან. არადა, ფსიქიატრიული შემოწმება რომ გაატარო, ვერც ერთი ვერ გაივლის. ახლა ამ მოღალატეებმა წულაიას დაუწყეს მიბაძვა.

– რომელ წულაიას?

– გოგი წულაიას. მას ეს სკეტჩები კარგად გამოსდის, მაგრამ „გირჩები“ არც ამაში უქნია ღმერთს. გადაჯდა იმ დღეს ზურაბ ჯაფარიძე ვირზე და დაიწყო სიარული. ნორმალურია ახლა ეს? ხომ ხედავ, შვილი, რომ ღმერთს არაფერში უქნიხარ და დაეტიე.

– ვინ გითხრათ, რომ ღმერთს არაფერში უქნია? მრავალფეროვანი იდეები აქვს – ამომრჩევლებს აუზში შეხვდა.

– გეუბნებით, წულაიას ბაძავენ. იმან მოიპოვა ასეთი რაღაცებით პოპულარობა და „გირჩიც“ იმავეს ცდილობს. ქართული პოლიტიკაც, ხომ ხედავთ, რას დაემსგავსა. ნამდვილი ცირკია. პოლიტიკოსები ჯამბაზებს დაემსგავსნენ.

– ჯამბაზებს რით დაემსგავსნენ?

– პოლიტიკოსი ვირზე რომ შემოჯდება, ჯამბაზია, აბა რა არის? ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ იმაზე, რომ ევროპული სახელმწიფო გვინდა. ევროპაში ჯარი ყველგან დაფასებულია, საქართველოში კი ვიღაც ჯამბაზები ჯარის მასხრად აგდებას ბედავენ.

საქართველომ დღეს თუ აქამდე მოაღწია, ეს მხედრობის დამსახურებაა. ამიტომაც მოიხსენიებენ მათ ლოცვებში. კეთილი ინებოს ხელისუფლებამ და დაიცვას ჯარის ღირსება, მაგრამ, მთელი უბედურება ისაა, რომ არც ხელისუფლება არ გვყავს. ქვეყანა იმართება არასამთავრობების მიერ.

ჰუმან რაით ვოთჩის ფეხების დაბაკუნება ამათთვის კანონზე მაღლა დგას. მათ ყველა მოთხოვნას ასრულებენ. ამ ორგანიზაციას წარმოადგენენ, როგორც ავტორიტეტულ ძალას. გამოვჩხრიკე ინფორმაციები და აღმოჩნდა, რომ ეს ორგანიზაცია სოროსის ფონდთან არის დაკავშირებული. მისი დამფუძნებელი არის სოროსის ფონდის პროექტების ხელმძღვანელი.

სააკაშვილი ამ ფონდებს ანგარიშს არასდროს უწევდა. მახსოვს, კახა ბენდუქიძემ ერთხელ ისიც თქვა, სად გაივლის ჩვენი მილი, რუსეთში თუ სხვაგან სადმეო.

– ისე ლაპარაკობთ, ვიღაცას ნაციონალების მხარდამჭერი ეგონებით.

– ჩემი დამოკიდებულება წინა ხელისუფლების მიმართ კარგად იცით, მაგრამ, რაც სიმართლეა, ის რატომ არ უნდა ვთქვა? სააკაშვილი ამ ფონდებს ანგარიშს არ უწევდა, ესენი კი ნამდვილი მონებივით იქცევიან. ირაკლი ოქრუაშვილის მხარდამჭერი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ, თავდაცვის მინისტრი რომ იყო, ყველას აიძულებდა, ჯარისთვის პატივი ეცათ. მახსოვს, ერთ-ერთ რესტორანში რამდენიმე კაცი არ შეუშვეს იმის გამო, რომ მათ ფორმა ეცვათ. ამაზე ოქრუაშვილმა ისეთი ამბავი ატეხა, რესტორნის მეპატრონეს ბოდიში მოახდევინა.

წარმომიდგენია, რას იზამდა ოქრუაშვილი, მის დროს „გირჩისმაგვარი“ ორგანიზაცია რომ გამოჩენილიყო.

– წარმომიდგენია, რა ეპითეტებს გამოიყენებდა მათი მისამართით.

– მხოლოდ ეპითეტებს არ გამოიყენებდა, ამდენს არ გააბედვინებდა. ცუდი არ იქნება იმის გარკვევა, ვისგან და რა მიზნით ფინანსდება „გირჩი“. ისიც უნდა გაირკვეს, რატომ არიან ყოველდღე ტელევიზორში.

– ტელევიზიებში თქვენც ხშირად გიწვევენ.

– მე სად მიწვევენ ისე, როგორც „გირჩს“. დღე ისე არ გავა, რომელიმე „გირჩმა“ ტელევიზიიდან არ დაგვმოძღვროს. რუსეთის მხარდამჭერი პოლიტიკოსები და სტალინის მოყვარულები მედიამ დაბლოკა. ვეკითხები ქართულ მედიას, რატომ არ ბლოკავენ ამ დამნაშავე ორგანიზაციას? „გირჩი“ არის ის პარტია, რომელიც ეკლესიასა და ჯარს ებრძვის, ასევე ითხოვს ქართველი ახალგაზრდების მოწამვლას. ამაზე დიდი ღალატი და ანტისახელმწიფოებრივი ქმედება რაღა გინდათ.

ვსარგებლობ შემთხვევით და მივმართავ თავდაცვის სამინისტროს, გამოაქვეყნონ იმ ადამიანების სია, რომლებიც „გირჩის“ მღვდელმსახურების საბაბით ჯარში არ წავიდნენ. ისინი ჩემთვის არიან სამშობლოს მოღალატეები.

ხელისუფლების წარმომადგენლები ამბიონზე რომ გადმოდგებიან ხოლმე დიდი სანთლებით, რატომ არასდროს სთხოვენ პასუხს იმათ, ვინც ეკლესიას შეურაცხყოფას აყენებს?! გაგიგიათ სადმე, სხვა სარწმუნოების შეურაცხყოფა მომხდარიყოს? თუ მოხდა და საშინელი ამბავი ამტყდარა. ეკლესიის ღანძღვა კი რატომღაც სიტყვის გამოხატვის თავისუფლებად ითვლება.

გაიგეთ ერთი რამე, მიზანმიმართულად მიდის ქვეყნის ნგრევა. ხელისუფლების სათავეებში მოკალათდნენ ის ტიპები, რომლებიც სამშობლოს ყიდიან. ადრე მტერი გარედან გვებრძოდა, ახლა ეს მტრები შიგნით მოკალათდნენ.

აქამდე პოლიტიკოსები აბოლებდნენ ხალხს, ახლა ნება მისცეს, თავად დაბოლდითო. იმის ნაცვლად, რომ საწარმოები გაეხსნათ და ხალხი დაესაქმებინათ, ნარკოტიკების ლეგალიზება მოახდინეს. ბიუჯეტის შევსება ნარკოტიკებითა და პროსტიტუციით უნდათ.

– რამდენიმე ორგანიზაცია პროსტიტუციის ლეგალიზებასაც ითხოვს.

– რაღა დროს მაგის მოთხოვნაა, ლეგალიზებულიც არის ეს პროსტიტუცია და უფრო მეტიც.

– რას ნიშნავს ლეგალიზებულია და უფრო მეტიც?

– იმას, რომ სპეციალურ საიტებზე ქართველი ქალები საკუთარ მომსახურებას სთავაზობენ კლიენტებს. სახეებიც კი არა აქვთ დაფარული. ადრე ამას ვინ გაბედავდა? ლეგალიზებულია პროსტიტუცია და ეგაა. აი, სადამდე დავეცით უკვე, კლიენტებს ქართველი ქალები თავს დაუფარავად სთავაზობენ.

– ამ პროფესიის ხალხი საქართველოში ოდითგანვე იყო. ეს მთელ მსოფლიოში უძველესი პროფესიაა.

– გასაგებია, მაგრამ ასე ღიად არავინ ბედავდა ამის წარმოჩენას. ახლა სპეციალურ საიტებზე არიან ქართველი ქალები გამოჭიმული.

– ადრე არ იყო სოციალური ქსელები, თორემ ადრეც გამოიყენებდნენ ამ საშუალებას.

– არა მგონია. ახლა ქვეყანაში ხდება საშინელება. გაერომ საქართველო მომაკვდავი ერების სიაში შეიყვანა. იმის ნაცვლად, რომ შობადობის გაზრდაზე ეზრუნათ, ნარკოტიკების ლეგალიზება მოახდინეს. ეს არის ქართველი ერისთვის ნასროლი საკონტროლო ტყვია.

საღამოობით ქუჩაში რომ გახვიდეთ, გული გაგისკდებათ. თბილისში სულ ჩადრიანები დადიან. თავი საქართველოს დედაქალაქში კი არა, რომელიმე ისლამურ სახელმწიფოში გეგონებათ. აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნებას ვინ ჩივის, მეშინია, თბილისიც არაბებს არ დარჩეთ. ასეთი რამე საქართველოში არასდროს მომხდარა.

– თბილისს, წესით, არც არაბების ბატონობა უნდა გაუკვირდეს, რამდენი საუკუნე გვეჯდა ამირა თბილისში?

– გვეჯდა, მაგრამ რამდენი ბრძოლა მიდიოდა დამპყრობლების წინააღმდეგ. კახეთი მიწასთან იყო გასწორებული, მაგრამ, როდესაც მომხდურმა მღვდელი გააუპატიურა, ყველა ფეხზე დადგა და ბახტრიონი მოაწყვეს. ერთი ადამიანის გაუპატიურებაზე ამხელა რამე მოახდინეს და ახლა მთელი ქვეყანაა გაუპატიურებული, მაგრამ ხმას არავინ იღებს.

ხელისუფლების სათავეში მოღალატეები მოვიდნენ, რომლებიც სიამოვნებით ყიდიან ქვეყანას. კიდევ ერთხელ გეუბნებით, ამ ქვეყანას პატრონი აღარ ჰყავს.

– ამ ქვეყნის პატრონად ივანიშვილი ითვლება. საინტერესოა, ის რას ფიქრობს ამ ყველაფერზე?

– ივანიშვილი არანაირი პატრონი არ არის. ქვეყანა კი არა, მაგას თავისი თანაპარტიელები აღარ ემორჩილებიან. არ გამიკვირდება, მალე მის წინააღმდეგაც წავიდნენ. ის ხალხი, ვინც ივანიშვილის ნამდვილი მხარდამჭერი იყო, პარტიიდან გაყარეს.

– ვინ გაყარა ივანიშვილის მხარდამჭერები პარტიიდან?

– იმათ, ვინც ახლა პარტიას მოაჯდა. საუბარია სოროსის ლეკვებზე. ესენი ივანიშვილს არაფერს უჯერებენ და სულ მის გინებაში არიან.

– შეგიძლიათ გვითხრათ, ვინ აგინებს ივანიშვილს პარტიაში?

– სოროსის ლეკვები. ისინი ივანიშვილს ყველა ბრუნვაში აგინებენ. ასეც იყო მოსალოდნელი. მისი ერთგული ხალხი პარტიაში აღარ არის. ბურთი და მოედანი მოღალატეებს დარჩათ.

„მერკელი უნდა დავარწმუნოთ, რომ ჩვენი გზა ევროპაა“

ნათია ხურცილავა

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი დავით დარჩიაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ანგელა მერკელის ვიზიტზე საუბრობს.

დავით დარჩიაშვილი: „ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ გერმანიამ ჩვენი პრობლემა არ მიივიწყოს“

– ბატონო დავით, 23 აგვისტოს გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი სამხრეთ კავკასიის ტურნეს ფარგლებში საქართველოს ეწვევა. ასევე ვიცით, რომ 10 წელზე მეტია, ასეთი მაღალი დონის ვიზიტი არ ყოფილა გერმანიიდან. თქვენ რა მოლოდინი გაქვთ ამ ვიზიტიდან?

– სიმართლე გითხრათ, განსაკუთრებული მოლოდინი არ მაქვს. თუმცა, იმის უარყოფა, რომ ეს ვიზიტი ძალიან მნიშვნელოვანია, ალბათ შეუძლებელია. ევროკავშირის წამყვანი ქვეყნის ხელმძღვანელი, თანამედროვე პოლიტიკაში ყველასთვის ცნობილი ქალბატონი ჩამოდის საქართველოში. რამდენად დიდ გარღვევას მოახდენს ეს ვიზიტი, ვერ გეტყვით, მე პირადად დიდი იმედი არ მაქვს, მაგრამ უდავოდ მნიშვნელოვანი და საჭირო ვიზიტია.

ერთი რაც შეიძლება ვისურვო, არის ის, რომ საქართველოში, ანგელა მერკელის ეს ვიზიტი ხელისუფლებამ ჩვენი ქვეყნის მაქსიმალური ინტერესებიდან გამომდინარე გამოიყენოს.

– ხელისუფლებამ რა მიმართულებით უნდა წაიყვანოს ეს შეხვედრა? მაგალითად, ექსპერტი თორნიკე შარაშენიძე ამბობს, რომ თუ თავს დაუქნევთ და დავეთანხმებით იმ პოზიციაში, რომ ახლა საქართველოს დრო არ არის, მაშინ არაფერი არ გამოვა.

– რასაკვირველია, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუქნოთ თავი, რომ ახლა საქართველოს დრო არ არის! მე არ მგონია, რომ მერკელი გამოცდილი პოლიტიკოსია და ასეთი რამე თქვას მოლაპარაკების მაგიდაზე, მაგრამ ეს პოზიცია სრულიად მიუღებელია. თუმცა, რა თქმა უნდა, საქართველოს მთავრობის პასუხისმგებლობაა, რამდენად პრინციპულად დააყენებს ჩვენი უსაფრთხოების საკითხებს, ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიების საკითხებს, რომ მუდმივად ანგელა მერკელის დღის წესრიგში იყოს ეს საკითხები, როდესაც მას რუსეთთან, პუტინთან აქვს ურთიერთობა. საქართველოს ხელისუფლება ამ საკითხებს დააყენებს პრინციპულად თუ არ დააყენებს, მე ამის თქმა არ შემიძლია, მაგრამ ამის გაკეთება, რომ არის საჭირო და აუცილებელი ეს შემიძლია გითხრათ. ისე, მე არ მაქვს მოლოდინი, რომ მთელი ენერგიით და კატეგორიულად მოითხოვს ამას დღევანდელი ხელისუფლება. უამრავი გამოწვევისა და პრობლემის წინაშეა ქვეყანა ეკონომიკური კუთხით, სხვა მიმართულებით. უამრავი რისკ-ფაქტორის ქვეშ გვიწევს ყოფნა. ამ საკითხების წამოწევა შეუძლია ხელისუფლებას თუ მოინდომებს, თუ ძალისხმევას არ დააკლებს. შეძლებს ამ მიმართულებით რამე შედეგის მიღებას თუ ეს ვიზიტი ჩაივლის ზრდილობის ვიზიტად და მეტი არაფერი, არ ვიცი, ვნახოთ.

– ამ ტურნემდე რამდენიმე დღით ადრე მერკელისა და პუტინის შეხვედრაზე საქართველოზე საუბარი არ იყო. თქვენთვის ეს რა გზავნილი იყო?

– ძალიან ცუდი! ეს ფაქტი ძალიან ცუდი იყო. ამას უნდა ითხოვდეს საქართველოს ხელისუფლება. მეტიც, ბერლინში ამ საკითხს შეწუხებამდე უნდა აყენებდეს. არადა, ჩვენ რას ვხედავთ, საქართველო ძალიან მოკრძალებულად გამოიყურება და ჩვენ მაგივრად სხვა თავს არ აიტკივებს, მით უფრო მაშინ, როდესაც სხვა თავსატკივარებიც აქვთ.

– როგორ ფიქრობთ, გერმანიასთან ტრადიციულად რატომ გვიჭირს ორმხრივი ურთიერთობის სათანადო დონეზე წარმართვა?

– ალბათ გერმანიის არ გვესმის, არც ის, თუ როგორ ხდება 21-ე საუკუნეში ეროვნული ინტერესების დაცვა. რაღაცას ვერიდებით, რაღაცნაირად თავს ვიკავებთ და რა ინტერესებით ვართ დაკავებული, ღმერთმა იცის, აქ ცხადია, ხელისუფლებას ვგულისხმობ. მხოლოდ ხელისუფლების შენარჩუნების ინტერესით არიან დაკავებული.

– არც წინა ხელისუფლების დროსაც არ იყო გერმანიასთან ურთიერთობა სახარბიელოდ აწყობილი.

– წინა ხელისუფლების შეცდომა იყო, რომ გერმანიას არ ანიჭებდა ისეთ მნიშვნელობას, როგორიც გერმანიას აქვს. ეგონა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია არის გადამწყვეტი ყველა დროს ყველაფერში. ცხადია, ეს ასე არ არის, რაც ისტორიამ გამოაჩინა. ამ შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლების უნიათობაზე კი არ შეიძლება ლაპარაკი, ეს იყო შეცდომა, მიმართულება, რომელიც გარკვეული პერიოდი მაინცდამაინც ძლიერად არ იყო წარმოდგენილი.

ახალ ხელისუფლებას კი ყველა მიმართულება თანაბრად სუსტად, უღიმღამოდ აქვს წარმოდგენილი, რაც არის პრობლემა, რადგან ახლა ისინი არიან ხელისუფლებაში.

– დღეს, თქვენ რომ იჯდეთ მოლაპარაკების მაგიდასთან, რას იზამდით, როგორი იქნებოდა თქვენი სამოქმედო გეგმა?

– გერმანიას დავარწმუნებდი, ყოველ შემთხვევაში, მთელ ძალას მივმართავდი, რომ დამერწმუნებინა, საქართველო ვერ მოიაზრებს საკუთარ თავს გარდა ევროპის კონტექსტისა, რომ ჩვენი გზა ევროპაა. რომ საქართველოსთვის ევროინტეგრაცია სტრატეგიული არჩევანია, მაგრამ რუსული საფრთხე, რომელიც ასე ჰკიდია ჩვენ თავზე თუ არ იქნება განეიტრალებული, მაშინ ახალი აფეთქების გარდა, სხვა შანსი არ ჩანს. ცხადია, ეს გლობალურად, რეგიონის კონტექსტში უნდა დავანახოთ. თუ ვინმეს რამედ უღირს რეგიონში სტაბილურობა, მაშინ გერმანია რუსეთთან მოლაპარაკებებში სწორედ ჩვენი ტერიტორიების დეოკუპაციაზე უნდა საუბრობდეს. ეს არ ნიშნავს იმწუთიერ გარღვევას და ყველაფერზე პუტინის დაყოლიებას, მაგრამ პუტინი უნდა გრძნობდეს, რომ გერმანიას, ევროკავშირს არანაკლებ ადარდებს საქართველო, ვიდრე სირია და უკრაინა. სამწუხაროდ, მე დღეს ვერ ვგრძნობ, რომ ამას აკეთებს ჩვენი ხელისუფლება. დღეს გერმანიისთვის უკრაინა უფრო აქტუალურია, ვიდრე საქართველო. გასაგებია, უკრაინა აქტუალურია, მაგრამ ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ გერმანიამ ჩვენი პრობლემა არ მიივიწყოს.

– ხომ არ ფიქრობთ, რომ გერმანიის პოლიტიკა მუდმივად ლოიალურია რუსეთის მიმართ და მიუხედავად ყველაფრისა, ეს პოლიტიკა არ იცვლება?

– არა, მე ასე არ ვფიქრობ. გერმანიას აქვს თავისი ეროვნული ინტერესები და ამ ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს.

– გაზი, ბატონო დავით?

– გერმანიის წარმოდგენა რუსეთის დანამატად ერთ-ერთი ის შეცდომაა, რომელიც ქართულ საექსპერტო თუ პოლიტიკურ აზრს ახასიათებს.

– და მაინც, ეს არის ვიზიტი ვიზიტისთვის, ერთგვარი დიპლომატიური ჟესტი რეგიონის მიმართ თუ რაღაც გარდატეხა შეიძლება შევიდეს ორმხრივ ურთიერთობებში?

– გერმანული დიპლომატია რა დატვირთვას აძლევს ამ ვიზიტს, ამაზე დეტალურად მე დღეს ვერ ვისაუბრებ, მაგრამ მთელი პასუხისმგებლობა ხელისუფლებაზეა, რომ ეს ვიზიტი რაღაცის მომცემი იყოს და არ ჩაფლავდეს. მთავარი მაინც ვფიქრობ არის ის, რომ საქართველოს საკითხმა გერმანიის დღის წესრიგში უფრო მაღალი ადგილი დაიკავოს თუ ამას მივაღწიეთ, ეს უკვე კარგი იქნება. ამის შესაძლებლობა გვეძლევა და ამას უნდა მივაღწიოთ. თუ მერკელს აქ დიპლომატიის უნიათობა დახვდა, ამით დამთავრდება ყველაფერი და ეს კარგს არაფერს გვიქადის.

დაუახლოვდება თუ არა ევროკავშირი სამხრეთ კავკასიას მერკელის ვიზიტის შედეგად

მარიამ მჭედლიშვილი

ანგელა მერკელის კავკასიური ტურნეს მოახლოების კვალდაკვალ ქართველი პოლიტიკოსები მეტ დროს უთმობენ საგარეო პოლიტიკას.

ხელისუფლების ოპონენტები აცხადებენ, რომ „ქართული ოცნების“ არასწორი და უნიათო საგარეო პოლიტიკის გამო გერმანიისა და რუსეთის ლიდერებს ბოლო შეხვედრაზე საქართველო და მისი პრობლემატიკა არც უსსენებიათ. ხელისუფლების წარმომადგენლები ირწმუნებიან, რომ მისი პოლიტიკა სწორი და აქტიურია, ხოლო იმაზე, თუ რა საკითხები განიხილეს მერკელმა და

პუტინმა პირისპირ დახურულ შეხვედრაზე, ინფორმაცია ვერავის ექნება, მოსაუბრეების გარდა.

ექსპერტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში გერმანიის ფედერალური კანცლერის ჩამოსვლა იმის მომასწავებელია, რომ გერმანია ამ სახელმწიფოებს დამოუკიდებლებად მიიჩნევს და რუსეთის გავლენის სფეროდ არ აღიარებს.

კავკასიელი ანალიტიკოსების სიტყვებით, ეს ტურნე ადასტურებს, რომ ევროკავშირი აშშ-ისაგან დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებს, გერმანიას კი უნდა გერმანული დიპლომატიის გაძლიერება კავკასიაში.

კავკასია რომ ევროკავშირისთვის პრიორიტეტი უნდა გამხდარიყო, ამაზე ანგელა მერკელმა ჯერ კიდევ 2007 წელს განაცხადა. მისი აზრით, კავკასიის რეგიონი უნდა იყოს ევროკავშირის ყურადღების მთავარი ობიექტი.

როგორ აფასებს ამ მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს ან პერსპექტივებს ანგელა მერკელი, წესით, ვიზიტისას ან მის შემდეგ უნდა გაცხადდეს. თავისთავად, ეს ტურნე მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით, ევროპასა და მსოფლიოში შექმნილ რთულ ვითარებაში.

ანგელა მერკელს თავის ქვეყანაშიც პრობლემები აქვს. საიმიგრაციო კრიზისმა ევროპაში და კონკრეტულად, გერმანიაში დააზარალა კანცლერის რეიტინგი და გამოიწვია ულტრამემარჯვენე ძალების მომძლავრება.

ევროპაში რადიკალი მემარჯვენეებისა და მემარცხენეების მთავარ მხარდამჭერად ითვლება პუტინი.

დღეს ევროპაში ულტრამემარჯვენე მოძრაობების გასაძლიერებლად ფონდს ქმნის აშშ-ის პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველი სტივ ბენონი, რომელიც 2017 წელს დაითხოვეს.

სტივ ბენონი ირწმუნება, რომ ფონდ „მოძრაობის“ დახმარებით დაიშლება ევროკავშირი და ევროპაში შეიქმნება ეროვნული სახელმწიფოები თავიანთი იდენტურობითა და საკუთარი საზღვრებით.

თეთრი სახლის ყოფილმა წარმომადგენელმა არაერთი შეხვედრა გამართა ევროპელ რადიკალ ნაციონალისტებთან და კონსერვატორებთან. მათი უმრავლესობა ბენონს გარკვეულ საკითხებში ეთანხმება, მაგრამ მასთან თანამშრომლობისაგან თავს იკავებს. გერმანიის პარტიაში „ალტერნატივა გერმანიისათვის“, რომელიც მერკელის ოპოზიციაა, ამ საკითხზე ერთიანობა არ არსებობს.

ტრამპის ყოფილი მრჩეველი, რომელიც პუტინის მსგავსად ევროკავშირის დაშლაზეა ორიენტირებული, იმედს არ კარგავს. იგი იმედს არჩევნებზე ამყარებს. მისი აზრით, მომავალი ევროპარლამენტი ძირითადად ულტრამემარჯვენეებით და პოპულისტებით დაკომპლექტდება.

ბენონის ფონდი „მოძრაობა“, როგორც ჩანს, თავის ტკივილს, ევროკავშირის სხვა ლიდერებთან ერთად, ანგელა მერკელსაც გაუჩენს.

არ არის გამორიცხული, სტივ ბენონის ფონდმა საერთო ენა საქართველოს ულტრამემარჯვენეებთან და პოპულისტებთანაც გამონახოს და ისინი დააფინანსოს.

წითელას ეპიდემიის მასშტაბით საქართველო ევროპაში მესამე ადგილზეა

წითელას ეპიდემიის შემთხვევებმა ევროპაში რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) 2018 წლის პირველი 6 თვის მონაცემებით, წითელასგან სულ 41 ათასზე მეტი ადამიანი დაინფიცირდა, მათგან 37 კი გარდაიცვალა.

დასნებოვნების ყველაზე მაღალი მაჩვენებლები სერბეთსა და უკრაინაში დაფიქსირდა, სადაც ასეთი შემთხვევების რიცხვი ყოველ ერთ მილიონ მოქალაქეზე 600-ს აჭარბებს. მესამე ადგილზე საქართველოა – 300-ზე მეტი შემთხვევით. მეოთხე საბერძნეთია, რომელიც საქართველოს ოდნავ ჩამორჩება.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ექსპერტები ამ ქვეყნებში ეპიდემიის ზრდის მიზეზად აცრებზე უარის თქმას ასახელებენ. ევროპის ქვეყნების მთავრობებმა მოუწოდეს მოსახლეობას ბავშვები წითელას წინააღმდეგო ვაქცინით სასკოლო ასაკამდე აცრან.

შარშან ევროპაში დასნებოვნების 37.927 შემთხვევა დაფიქსირდა. ხოლო 2016 წელს ეს მაჩვენებელი 5.273-ს შეადგენდა.

საქართველოში 8 თვეში აივ ინფიცირების 433 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა

2018 წლის 20 აგვისტოს მონაცემებით, საქართველოში აივ ინფიცირების 433 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრიდან აცნობეს. მათივე ცნობით, 2017 წლის შესაბამის პერიოდში აივ ინფიცირების 404 ახალი შემთხვევა გამოვლინდა.

ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრში რეგისტრირებულია 7.195 აივ ინფიცირებული პირი. აივ ინფიცირების ყველაზე მეტი – 2.622 შემთხვევა – რეგისტრირებულია თბილისში.

– ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრში რეგისტრირებულია 7.195 აივ ინფიცირებული პირი. მათ შორის 5.382 – მამაკაცია, 1.813 – ქალი. პაციენტთა უმრავლესობა 29-დან 39 წლამდეა. შიდსი განუვითარდა 3.786 პაციენტს. 1.471 პაციენტი გარდაიცვალა. 31 ივლისის მონაცემებით, აივ მკურნალობას იტარებს 4.409.

რეგისტრირებულ შემთხვევათა განაწილება გადაცემის გზების მიხედვით ასეთია: 40.6 % (2924) – ნარკოტიკების ინექციური მომხმარებელია; 45.9 % (3305) – დაინფიცირდა ჰეტეროსექსუალური კონტაქტის შედეგად; 10.9 % (781) – მამაკაცები, რომელთაც სექსი აქვთ მამაკაცთან; 1.4 % (101) – დაინფიცირდა ვერტიკალური გადაცემის გზით; 0.5 % (36) – სისხლის რეციპიენტია; 0.7 % (48) – გადაცემის გზა დაუდგენელია;

აივ ინფიცირების ყველაზე მეტი შემთხვევა რეგისტრირებულია თბილისში, 2.622 შემთხვევა, მათ შორის 87 უცხოეთის მოქალაქეა, 2 დაუდგენელი; სამეგრელოში – 914 შემთხვევა (აქედან ზუგდიდი – 605), იმერეთში – 898 (ქუთაისი 436), აჭარაში – 813 (ბათუმი – 512), აფხაზეთში – 451, კახეთში – 348, ქვემო ქართლში – 373, შიდა ქართლში – 271, გურიაში – 153, ფოთში – 110, სამცხე-ჯავახეთში – 100 და ა.შ.

ბოლო წლებში აივ ინფექცია/შიდსის ახალ შემთხვევათა ანალიზი გვიჩვენებს, რომ აღინიშნება ახალ შემთხვევათა სტაბილური ზრდის ტენდენცია: 2008 წელს -351; 2009 წელს – 385; 2010 წელს – 455; 2011 წელს – 424; 2012 წელს – 526; 2013 წელს – 490 ახალი შემთხვევა; 2014 წელს – 564; 2015 წელს – 717; 2016 წელს – 719, – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ეპნ

დახარჯული მილიონების მიუხედავად, თბილისის გზებზე გადაადგილება სახიფათოა

ვაჟა-ფშაველას გამზირზე, გზის ჩანგრეულ სავალ ნაწილზე, მცირეწლოვანი ბავშვი ორმოში ჩავარდა;

წყნეთის ქუჩაზე – მიწის საფარი ჩაინგრა, რამაც კედლისა და ავტომანქანის დაზიანება გამოიწვია;

თბილისში, ჩიტაიას ქუჩაზე, გზის საფარი ჩაინგრა.

ეს იმ გზების ჩანგრევის ძალიან მცირე ჩამონათვალია, რაც ბოლო სამი დღის განმავლობაში თბილისში მოხდა. უამინდობის პერიოდში მომხდარი მსგავსი ფაქტების გარდა, კიდევ არაერთი შემთხვევაა, რომელიც მედიის ყურადღების ცენტრში არ ექცევა. სამაგიეროდ, საზოგადოება ამ თემაზე უფრო ხშირად საუბრობს სოციალურ ქსელში – მოსახლეობა ჩივის ორმოში ჩავარდნილ ავტომობილებზე, დაზიანებულ ფეხზე თუ სხეულის სხვა ნაწილებზე, იმაზე რომ ჩანგრეული გზის საფარის გამო ღამე უსაფრთხოდ გადაადგილება შეუძლებელია და ა.შ.

არსებული მძიმე ვითარების შესახებ განცხადება დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ მხოლოდ გუშინ გააკეთა. მისი თქმით, პრობლემის მოგვარება უკვე დაწყებულია.

როგორც მერიაში „კომერსანტს“ განუცხადეს, გარკვეულ ფაქტებზე გამოძიება ახლაც მიმდინარეობს და იგეგმება კონკრეტული ლოკაციების შესწავლაც, თუმცა პრობლემის სრულად აღმოფხვრა შეუძლებელია.

დედაქალაქის ქუჩები და გზები ყოფილი და ამჟამინდელი მთავრობის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით სამუშაოები მუდმივად მიმდინარეობს, ხდება რესტავრაცია, იგება ახალი გზები და ბიუჯეტიდან მილიონობით ლარი იხარჯება, პრობლემა კვლავ მოუგვარებელია.

რა ხდება თბილისის ქუჩებში და რატომ ინგრევა განახლებული გზები?

„კომერსანტის“ კითხვაზე პასუხს დარგის სპეციალისტები ხარისხის კონტროლის აუცილებლობაში, ერთიანი სტანდარტების დანერგვასა და მუდმივი მონიტორინგის ჩატარებაში ხედავენ. როგორც ირკვევა, დღეს დედაქალაქის ქუჩები და გზები, რომლებზეც 2 მლნ-მდე მცხოვრები გადაადგილდება და მუდმივად ტურისტებს მასპინძლობს, უხარისხო და მოუვლელია.

– უხარისხობაა პირველი პრობლემა. იმიტომ, რომ არ არსებობს ხარისხის სახელმწიფოებრივი ერთიანი სტანდარტი, მშენებლები ფულის დაზოგვის მიზნით ძალიან ხშირად სხვადასხვა ტიპის კონსისტენციის შემადგენლობის სამშენებლო მასალას იყენებენ, რაც არც ეფექტურია და არც ხარისხიანი. მათ ვერ მოსთხოვ ეკონომია არ გააკეთონ, როცა არ არიან ვალდებულნი რაიმე სტანდარტები დაიცვან. ამიტომაც აუცილებელია შემუშავდეს ხარისხის ერთიანი სახელმწიფო სტანდარტები, რომელთა დარღვევა შესაბამისად დაისჯება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სულ ასეთი ვითარება გვექნება. როცა გზას აქვს 10 წლიანი გარანტია და უკვე 4-5 წლის თავზე მას უჩნდება პრობლემები – ინგრევა ან ზიანდება, ესე იგი უხარისხოა, – განმარტავს ფონდი პარტნიორობა „საგზაო უსაფრთხოებისთვის“ გამგეობის თავმჯდომარე გელა კვაშილავა.

ხარისხის კონტროლისა და მუდმივი მონიტორინგის თვალსაზრისით ერთადერთ გამოსავალს ფონდ პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის დირექტორი ირაკლი იზორია სპეციალური მონიტორინგის სამსახურის შექმნაში ხედავს. მისივე თქმით, მხოლოდ ასეა შესაძლებელი, არა ცალკეული შემთხვევები, არამედ მთლიანი არსებული ვითარება შეიცვალოს დადებითად.

– დღეს საქართველოს გზებზე და მათ შორის თბილისშიც არ ტარდება აუდიტი, ანუ არ ხდება მონიტორინგი არც პროექტირების ეტაპზე, ასევე არც უკვე დაგებული გზის შემოწმებაც არ ხორციელდება. არადა, ეს უნდა იყოს სისტემატური ხასიათის, რათა პრევენციული ღონისძიებები დროულად გატარდეს. ჩვენთან კი მაინცდამაინც უნდა ჩაინგრეს გზა ან ბავშვი ორმოში ჩავარდეს, რომ ყურადღება მიაქციოს ვინმემ. განსაკუთრებით საგანგაშო ვითარებაა მეორეხარისხოვან და მესამეხარისხოვან გზებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ცენტრალურ მაგისტრალთან. ამის მოსაწესრიგებლად საჭიროა შეიქმნას სპეციალური მონიტორინგის სამსახური, რომელიც მიბმული იქნება გამგეობას და თბილისის სატრანსპორტო სამსახურს დროულად მიაწვდის ინფორმაციას. დღეს ისე ხდება, განცხადება რომ შედის მერიაში, ერთი თვე ამუშავებენ და სანამ რამე გადაწყვეტილებას მიიღებენ, გზა მინიმუმ სამ ადგილას კიდევ ინგრევა. მენეჯმენტიც გამოსასწორებელია, – განმარტავს ირაკლი იზორია.

როგორც ირაკლი იზორია ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, დღესდღეობით გზების კონტროლი ევალებათ კერძო კომპანიებს, თუმცა, მშენებლების მსგავსად, ისინიც ფულისა და დროის რესურსის ეკონომიურად გამოყენებას ანიჭებენ პრიორიტეტს.

– გარდა გზების უხარისხობისა და აუდიტის არარსებობისა, ასევე პრობლემაა ისიც, რომ მაგალითად საქალაქო გზებზე და მათ მოვლა-შენახვაზე კერძო კომპანიები არიან პასუხისმგებელნი. მათი ინტერესი ისაა, რომ ნაკლები თანხა დაეხარჯოთ ამ პატრონობაში და მონიტორინგიც დროში გაიწელოს. ზუსტად ამიტომ არის საჭირო ზედამხედველობითი ორგანო, რომელიც თავში ვახსენე. დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში ეს კომპანიები დაისჯებიან ან საერთოდ ჩამოერთმევათ საქმიანობის უფლება, – განმარტავს ირაკლი იზორია.

ცნობილია, რომ დედაქალაქის მერია დაზიანებული გზებისა და ე.წ. ორმოების პრობლემების მოგვარებას ხან ქალაქის ბიუჯეტიდან, ხანაც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან ცდილობს. მათ შორის, ევროპის საინვესტიციო ბანკიდან აღებული სესხითაც.

„კომერსანტი“ ცოტა ხნის წინ წერდა იმ ტენდერების რაოდენობასა და მოცულობაზეც, რომელიც მერიამ 1-ლი ივნისიდან 1-ლ ივლისამდე გამოაცხადა. როგორც გაირკვა, მხოლოდ ერთ თვეში გამოცხადებული ელექტრონული ტენდერების რაოდენობა ჯამში 11-ია, შესყიდვების სავარაუდო ღირებულება კი 29.700.471 ლარია.

შეგახსენებთ, რომ 2018-2020 წლებში საგზაო ინფრასტრუქტურის მიმართულებით ჯამში 4,5 მილიარდი ლარის ღირებულების პროექტების განხორციელება იგეგმება.

მიუხედავად არსებული ფინანსებისა, გზები კვლავ უხარისხოა და ე.წ. „ორმოებიც“ ისევ რჩება თბილისის ერთ-ერთ სავიზიტო ბარათად.

ბიძინა ივანიშვილი: „არ ვიცოდი, აბასთუმანი ასე ძალიან თუ იყო ჩამორჩენილი“

საპრეზიდენტო არჩევნებამდე ორი თვით ადრე პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე აბასთუმანში ოჯახთან ერთად დასასვენებლად ჩავიდა და კურორტზე არსებული მდგომარეობის გაცნობა გადაწყვიტა. სასტუმრო „აბასთუმნის“ ხელმძღვანელი გენადი ენდელაძე ამბობს, რომ ყოფილი პრემიერ-მინისტრი აბასთუმნელებს ინფრასტრუქტურული პროექტების დროულად განხორციელებას დაჰპირდა.

– შემოვიდა კულტურულად, ადამიანურად. გადახედა, კანალიზაცია – არა, ეს – არა, ის – არა. ხალხს დაუძახა და თქვა, დასახმარებლად ვარ ჩამოსულიო. ჩამოიარა წყლის სანაპიროები... ყველა ობიექტს ნახულობს, ვის რა დახმარება სჭირდება, მეც მკითხა. თვითონ ნახა ყველაფერი. არ ვიცოდი, აბასთუმანი ასე ძალიან თუ იყო ჩამორჩენილი და აუცილებლად უნდა ვუშველოთო. გამგებელთან ერთად ყველაფერს წერენ და გეგმავენ. სპეციალურად ჩამოვიდა, რომ თავისი ხელი დაატყოს. ტელეფონში უთხრა ვიღაცას, სასწრაფოდ გაამზადეთ პროექტიო, მაგრამ, ვის ესაუბრა, არ ვიცი, – აცხადებს გენადი ენდელაძე.

ბიძინა ივანიშვილის აბასთუმანში ყოფნისას სარეაბილიტაციო სამუშაოების შესამოწმებლად კურორტზე ვიცეპრემიერიც ჩავიდა. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო აბასთუმანში მე-19 – მე-20 საუკუნეებში აშენებული სახლებისა და ასტროფიზიკური ობსერვატორიის სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს ახორციელებს. სამინისტროს მიერ საკუთარ ვებგვერდზე გავრცელებულ განცხადებაში მაია ცქიტიშვილი კურორტის მნიშვნელობაზე ლაპარაკობს:

– აბასთუმნის განვითარებისთვის მეტად მნიშვნელოვანი პროექტები გვაქვს დაწყებული. ისტორიული ხის სახლების, საგანმანათლებლო-სამეცნიერო და ტურისტული მნიშვნელობის ასტროფიზიკური ობსერვატორიის სრული რეაბილიტაციის გარდა, სამინისტრო ახორციელებს საგზაო პროექტებს და უახლოეს მომავალში დაგეგმილია წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მოწესრიგება. მალე აბასთუმანი დაიბრუნებს თავის ისტორიულ მნიშვნელობას.

მმართველი პარტიის ლიდერი სასტუმრო „აბასთუმანი რეზიდენსში“ ისვენებს. ადგილობრივ მცხოვრებთა განმარტებით, ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ე.წ. არაზინდოს დასახლება და აბასთუმნის ობსერვატორია მოინახულა. ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრის დეტალების შესახებ არაფერს ამბობს მერის წარმომადგენელი აბასთუმანში. გიორგი გედევანიძე ყურადღებას ვიცე-პრემიერ მაია ცქიტიშვილის ვიზიტზე ამახვილებს და რადიო თავისუფლებისთვის მიცემულ ინტერვიუში ამბობს, რომ დაგეგმილი სამუშაოები პროექტის მიხედვით ხორციელდება:

– რაც შეეხება ბატონ ბიძინას, მასთან დაკავშირებით ვერაფერს გეტყვით. აბასთუმნის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ორი ორგანიზაცია ახორციელებს – „აზეტა 11“ და „ერისიმედი“.

აბასთუმნის გარდა, ბიძინა ივანიშვილი ახალციხეშიც იმყოფებოდა. ციხის დირექტორ დავით ტაბატაძის თქმით, ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ოჯახსა და პარლამენტის წევრ გივი ჭიჭინაძესთან ერთად ახალციხის ციხე დაათვალიერა.

– ციხე და მუზეუმი დაათვალიერა. ციტადელზე აღარ ასულა, დროის სიმცირის გამო. გიდი მოემსახურა და დაახლოებით ერთ საათს გაჩერდა, – ამბობს დავით ტაბატაძე.

სარეაბილიტაციო სამუშაოები აბასთუმანში მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით ხორციელდება.

ივლისში კომერციული ბანკების წმინდა მოგება 24%-ით შემცირდა

2018 წლის ივლისის მონაცემებით, კომერციული ბანკების წმინდა მოგება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 17,2 მილიონი ლარით, დაახლოებით 24%-ით შემცირდა. კერძოდ, ივლისში ბანკების წმინდა მოგებამ 54,055 მილიონი ლარი შეადგინა. 2017 წლის ივნისში კი აღნიშნული მაჩვენებელი 71,277 მილიონი ლარი იყო. მთლიანად, 2018 წლის 7 თვეში კომერციული ბანკების წმინდა მოგებამ 464,455 მილიონი ლარი შეადგინა. 2017 წლის იანვარ-ივლისში კი ბანკებმა 519,203 მილიონი ლარის მოგება მიიღეს.

ამასთან, მიმდინარე წლის ივლისში, ბანკების შემოსავლებმა 338,827 მილიონი ლარი, ხოლო ხარჯებმა 271,742 მილიონი ლარი შეადგინა. გარდა ამისა, 2018 წლის ივლისში კომერციული ბანკების მიერ ჯარიმებიდან/საურავებიდან მიღებულმა შემოსავალმა 7,983 მილიონი ლარი; საკონვერსიო ოპერაციებიდან, ანუ ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან მიღებულმა წმინდა მოგება/ზარალმა 16,292 მილიონი ლარი შეადგინა. ამასთან, მიმდინარე წლის ივლისში ბანკებმა საკომისიოებიდან და გაწეული მომსახურებებიდან 31,983 მილიონი ლარის შემოსავალი მიიღეს.

ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2018 წლის ივლისში ბანკებმა 12,163 მილიონი ლარის მოგების გადასახადი გადაიხადეს.

ცნობისთვის, გასულ წელს კომერციული ბანკების წმინდა მოგებამ 869,798 მილიონი ლარი შეადგინა, მაშინ როცა 2016 წელს ეს მაჩვენებელი 679,101 მილიონი იყო.

კომერსანტი

როდიდან შეძლებენ ე.წ. კერძო გამსესხებლები ქონებით უზრუნველყოფილი სესხების გაცემას

ე.წ. კერძო გამსესხებლები რამდენიმე თვის განმავლობაში ქონებით უზრუნველყოფილი სესხების გაცემას ვერ შეძლებენ. როგორც „ბიზნესპრესნიუსს“ საქართველოს ეროვნულ ბანკში განუცხადეს, მათ ეს უფლება მხოლოდ მას შემდეგ მიენიჭებათ, რაც სებ-ში რეგისტრაციას გაივლიან.

როგორც ცნობილია, 20 აგვისტოდან ე.წ. კერძო გამსესხებლებზე მასშტაბური შეზღუდვები ამოქმედდა. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, კერძო გამსესხებლებს, რომლებიც ეროვნულ ბანკში (სებ) არ არიან სესხის გამცემ სუბიექტად რეგისტრირებულნი, ფიზიკურ პირებზე უძრავ-მოძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების გაცემა აეკრძალათ. ეს იმას ნიშნავს, რომ გარდა ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, არც ერთ მეწარმეს ბინის გირაოში ჩადების სანაცვლოდ თანხის გაცემის უფლება არ ექნებათ.

როგორც ეროვნულ ბანკში „ბიზნესპრესნიუსს“ განუცხადეს, რეგისტრაციის გავლის შესაძლებლობა მათ მხოლოდ 2019 წლის იანვრიდან ექნებათ:

– ოქტომბერში გავრცელდება ეროვნული ბანკის დადგენილება, თუ როგორ უნდა მოახდინონ ამ პირებმა რეგისტრაცია, ანუ გამოქვეყნდება რეგისტრაციის წესები. 2019 წლის იანვრიდან დარეგისტრირების საშუალება მიეცემათ, მანამდე კი უზრუნველყოფილ სესხებს ვერავინ გასცემს, – განუცხადეს „ბიზნესპრესნიუსს“ ეროვნულ ბანკში.

2018 წელს ეკონომიკური დანაშაულის რაოდენობა გაიზარდა

საქართველოში ეკონომიკური დანაშაულის რაოდენობა გაიზარდა. შსს-ს სტატისტიკის მიხედვით, 2018 წლის იანვარ-ივლისში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ზრდამ 19,6% შეადგინა.

სტატისტიკის მიხედვით, სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ, საანგარიშო პერიოდში 213 დანაშაული იქნა დარეგისტრირებული, აქედან გახსნილი კი 99-ია. წინა წელთან შედარებით, მსგავსი ტიპის დანაშაულების რაოდენობა 4.3%-ით გაიზარდა. შარშან 203 ფაქტი დაფიქსირდა.

ფულად-საკრედიტო სისტემაში 406 დანაშაულია რეგისტრირებული, რაც 74-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, შარშან იანვარ-ივლისში ფულად-საკრედიტო სისტემაში დანაშაულის 332 ფაქტი დაფიქსირდა.

საფინანსო საქმიანობის სფეროში 131 დანაშაული დარეგისტრირდა, აქედან გახსნილი კი 54-ია. მსგავსი ტიპის დანაშაულის რეგისტრაციის მაჩვენებელი 42%-ით გაიზარდა. 2017 წლის იანვარ-ივლისში საფინანსო საქმიანობაში დანაშაულის 92 ფაქტი დაფიქსირდა.

რაც შეეხება მთლიან მონაცემებს, რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა 2018 წლის იანვარ-ივლისში წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 55.81%-ით არის გაზრდილი. შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკით, 2018 წლის იანვარ-ივლისში რეგისტრირებული დანაშაულის საერთო რაოდენობამ 33.054 შეადგინა, ხოლო გასული წლის ამავე პერიოდში 21.214 დანაშაულია რეგისტრირებული.

კომერსანტი

ვინ შექმნა აქციოტაქი და ვის სჭირდება ჭარბი დოლარი?

აკაკი ცომაიას შეფასებით, ეს არის იმპორტიორების ჯგუფი, ინვესტორები და ის პირები, ვისაც დანაზოგი აშშ დოლარში აქვთ:

– ლარის კურსის ვარდნის მოლოდინი გაუჩნდათ იმ ადამიანებს რომლებიც ახორციელებენ იმპორტს და სჭირდებათ დიდი რაოდენობით უცხოური ვალუტა ერთი წრეა საზოგადოების. მეორე ჯგუფია, რომელსაც აქვთ დანაზოგები ისინი ცდილობენ ეს დანაზოგი შეინახონ დოლარში, რადგან აქვთ შიშები და მოლოდინები. მესამე კი - ინვესტორები რომლებიც ახორციელებენ ინვესტიციებს და სურთ თავიანთი ანგარიშები აწარმოონ მყარ ვალუტაში, ანუ დოლარში . შეუძლიათ ლარში აწარმოონ, მაგრამ უფრო დაცულად გრძნობენ თავს, როცა მოგებას ითვლიან დოლარში, გამომდინარე იქიდან, რომ ლარის მიმართ და ინსტიტების მიმართ არ არის ნდობა, – ამბობს ცომაია.

ლარმა აშშ დოლართან მიმართებაში გაუფასურება 10 აგვისტოს დაიწყო და ერთ კვირაში თითქმის 18 თეთრით გაუფასურდა.

მაშველებმა მტკვარში დამხრჩვალი 30 წლის მამაკაცის ცხედარი იპოვეს

ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ სამწევრისში მდინარე მტკვარში დამხრჩვალი ახალგაზრდა მამაკაცის გვამი მაშველებმა ერთ დღიანი ძებნის შემდეგ იპოვეს.

„ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, 1988 წელს დაბადებული შმაგი კუპატაძის ცხედრის სამძებრო სამუშაოებში მყვინთავები იყვნენ ჩართული. 30 წლის მამაკაცი გუშინ მტკვარზე თევზაობის დროს წყლის დინებამ გაიტაცა.

შსს-მ მომხდარზე გამოძიება 115 მუხლით დაიწყო.

მანქანა ეზოში შევარდა და კაკლის ხეს შეეჯახა

რაჭაში ავარიას 3 ადამიანი შეეწირა

ამბროლაური-ჭრებალოს გზაზე, სოფელ სადმელში მომხდარი ავარიის შედეგად 3 ადამიანი დაიღუპა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ თვითმხილველმა აცნობა, მსუბუქი ავტომობილი ჯერ ბორდიურზე ავარდა, შემდეგ კი ღობეს შეეჯახა და საცხოვრებელი სახლის ეზოში შევარდნის შემდეგ კაკლის ხეს შეეჯახა. ავტომობილში მყოფი სამი ადამიანი დაიღუპა, ორი კი დაშავებულია.

დაუზუსტებელი ინფორმაციით, დაღუპულთა შორის არიან ბავშვებიც. სხვა დეტალები ზუსტდება.

რუსეთის მოქალაქეს მებაჟეებმა არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები უპოვეს

18 აგვისტოს საბაჟო გამშვები პუნქტ „ყაზბეგში“ არადეკლარირებული ოქროს საზღვარზე უკანონოდ შემოტანის ფაქტი აღიკვეთა.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, რუსეთის მოქალაქის, ნ.კ-ს კუთვნილი ხელბარგის დათვალიერების შედეგად არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები (წონა 79.71 გრამი) აღმოაჩინეს.

საქონლის საბაჟო ღირებულებამ 4,993.65 ლარი შეადგინა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეს, სანქციის სახით, ფულადი ჯარიმა, 4.993,65 ლარის ოდენობით შეეფარდა.

„ეფიქს ბიზნეს გრუპს“ ნახევარი მილიონის მითვისებას აბრალებენ

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საფონდო ბირჟაზე თაღლითობის და კიბერდანაშაულის ბრალდებით „ეფიქს ბიზნეს გრუპის“ დამფუძნებლები დაიკავა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, მთავარ პროკურატურასთან ერთად, ხუთი თვის განმავლობაში ჩატარებული ინტენსიური ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი თაღლითური სქემა გამოავლინეს.

დიდი ოდენობით თანხის თაღლითურად დაუფლებისა და კომპიუტერული დანაშაულის ბრალდებით, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, საბროკერო კომპანია „ეფიქს ბიზნეს გრუპის“ სამი დამფუძნებელია დაკავებული.

გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებულებმა 2016 წლის აგვისტოში დაარეგისტრირეს შპს „ეფიქს ბიზნეს გრუპი“, რომლის საქმიანობის ძირითად საგანს, თითქოსდა საერთაშორისო საფონდო ბირჟაზე ვაჭრობა წარმოადგენდა.

დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა, დაახლოებით, 50 მოქალაქე მოატყუეს, რომ სავაჭრო ბირჟაზე წარმოადგენდნენ საშუამავლო საბროკერო კომპანიას და იმ შემთხვევაში, თუ ისინი განსაზღვრულ ანგარიშზე თანხას შეიტანდნენ, კომპანია მათ სავაჭრო ბირჟაზე გარკვეული თანხების მოგებაში დაეხმარებოდა.

დანაშაულებრივი სქემის მიხედვით, ბრალდებულებმა მათ მიერ წინასწარ განსაზღვრულ ანგარიშზე მოქალაქეებს შეატანინეს სხვადასხვა ოდენობის თანხები, რის შემდეგაც, ხელოვნური მანიპულირებისა და კომპიუტერულ სისტემაში უკანონოდ შეღწევის გზით, შეცვალეს დაზარალებულების კომპიუტერული მონაცემები, რათა მათ ეფიქრათ, რომ თანხა წარუმატებელი ვაჭრობის შედეგად წააგეს და კომპანიის მიმართ პრეტენზიები არ ჰქონოდათ. ამ გზით, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები უკანონოდ დაეუფლნენ, დაახლოებით, 500.000 ლარს.

დაკავებულებს ბრალი ედებათ კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევაში, მონაცემების უკანონო შეცვლასა და ორგანიზებული ჯგუფის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით თანხების თაღლითურად დაუფლებაში.

გამოძიების პროცესში, შესაძლოა, დაზარალებულთა რაოდენობა გაიზარდოს.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ს 180-ე, 284-ე და 286-ე მუხლებით, რაც 7-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“, – აცხადებენ შსს-ში.

❖ ❖ ❖

„ეფიქს ბიზნეს გრუპის“ დამფუძნებლების დაკავების შემდეგ თაღლითური სქემის დეტალებზე დაზარალებულები ალაპარაკდნენ.

დაახლოებით 50 მოქალაქე, ვინც ათასობით დოლარი კომპანიის მიერ მითითებულ ანგარიშზე გადარიცხა, ამბობს, რომ თანხა ბანკებიდან კრედიტის სახით აიღეს და მოგების მიზნით, ეფიქს ბიზნეს გრუპის წევრებთან შეთანხმებით, კონკრეტულ ანგარიშებზე გადარიცხეს.

– ისინი რისკებს არ გვაცნობდნენ სათანადოდ და არის თაღლითური შემოთავაზებები. ჩვენ გვეგონა, რომ საერთაშორისო ბირჟაზე გადიოდნენ. არ გადიოდნენ საერთაშორისო ბირჟაზე და ისინი გვეთამაშებოდნენ თვითონ და თავად მანიპულირებდნენ პროგრამით. ხელშეკრულებაზე ხელი ბევრს არა აქვს მოწერილი, – ამბობს დაზარალებული ხათუნა ტაბატაძე.

დაკავებული დამფუძნებლების ადვოკატი კი აცხადებს, რომ ყველა პირმა, რომელსაც კავშირი ჰქონდა კომპანიასთან, დაზუსტებით იცოდა, რა საქმიანობას ეწეოდა კომპანია.

– ყოველგვარი განცხადება, რომ რომელიმე კლიენტთან მოტყუებით გაფორმდა ხელშეკრულება ან მოტყუებით იქნა მიღებული თანხა, არათუ აბსურდულია, შინაარსს მოკლებულია. არცერთ შემთხვევაში არ ჰქონია სამართალდარღვევას ადგილი, – ამბობს ბრალდებულის ადვოკატი, ზაზა ქაჩიბაია.

მოკლული სმიტების ოჯახის წევრებს პროკურორები შეხვდნენ

შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურაში სმიტების ოჯახის წევრებთან შეხვედრა გაიმართა. აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას მთავარი პროკურატურა ავრცელებს:

– შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურორი ავთანდილ კოჭლამაზაშვილი ხადას ხეობაში მოკლული რაიან მაიკლ სმიტის ნათესავებს შეხვდა. შეხვედრას საქმის პროკურორი დავით ყაზარაშვილი, საქართველოში აშშ-ის საელჩოს მრჩეველი იურიდიულ საკითხებში მაიკლ გრანტი, კონსული ჯენეტ რობერტი და უწყების სხვა თანამშრომლები ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე მაიკლ რაიან სმიტის მშობლებმა და ძმამ მიიღეს დეტალური ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, ასევე პასუხები მათთვის საინტერესო შეკითხვებზე, რაც ძირითადად შეეხებოდა გამოძიების პროცესს, მათ შორის ბრალდებულის გარდა, საქმეზე იკვეთება თუ არა კიდევ სხვა დამნაშავე პირი, რამდენად მალე დასრულდება საექსპერტო კვლევები.

მაიკლ რაიან სმიტის ოჯახის წევრები დაინტერესდნენ, რა ფორმით შეეძლოთ საკუთარი პოზიციისა და მოსაზრების დაფიქსირება სასამართლოს წინაშე. განმარტებების მიღებისა და შეხვედრის დასრულების შემდეგ გარდაცვლილი რაიან მაიკლ სმიტის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა მისი ძმა ჩედ ოსტინ სმიტი, ხოლო ქელებ ისმატ სმიტის უფლებამონაცვლედ – მისი ბაბუა ბაირონ ლი სმიტი.

ბრალდებულის ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“, მე-2 ნაწილის „ბ“, მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (განსაკუთრებული სისასტიკით, სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით, დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნისა და ორი პირის განზრახ მკვლელობა) აქვს წარდგენილი. მცხეთის რაიონულმა სასამართლომ პროკურატურის შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების, პატიმრობის შეფარდების თაობაზე დააკმაყოფილა.

სისხლის სამართლის საქმეზე გრძელდება გამოძიება. ბრალდებულისთვის წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახედ და ზომად თექვსმეტიდან ოც წლამდე, ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, – ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ავარია რუსთავში — დაშავებულია 9 წლის ბავშვი

ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა რუსთავში, რუსთაველისა და ბათუმის ქუჩების კვეთაზე არსებულ გზაჯვარედინზე, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 9 წლის ბავშვმა მსუბუქი დაზიანება მიიღო. ერთმანეთს „ბე-ემ-ვესა“ და „ჰონდას“ მარკის მსუბუქი ავტომობილები დაეჯახნენ. ადგილზე მობილიზებული იყვნენ საპატრულო ეკიპაჟები და სასწრაფო დახმარების ბრიგადა. ექიმებმა დაშავებული ბავშვი გამოკვლევების მიზნით, ქალაქის ცენტრალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ავარია კახეთში — ვარდისუბანში ერთმანეთს Opel-ისა და BMW-ეს მარკის ავტომობილები შეეჯახნენ

თელავის რაიონის სოფელ ვარდისუბანში ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. ერთმანეთს საპირისპიროდ მოძრავი Opel-ისა და BMW-ეს მარკის ავტომობილები შეეჯახნენ. ავარიის შედეგად დაშავდა ერთი მგზავრი. მომხდარზე დაწყებულია გამოძიება.

ზუგდიდის რაიონში 41.800 ღერი უაქციზო სიგარეტის შენახვა-გადაზიდვის ფაქტები გამოვლინდა

ზუგდიდის რაიონში 41.800 ღერი უაქციზო სიგარეტის შენახვა-გადაზიდვის ფაქტები გამოვლინდა.

ამის შესახებ ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტი ავრცელებს.

„11-17 აგვისტოს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის სამეგრელოს, გურიისა და ზემო სვანეთის განყოფილების თანამშრომლებმა, ზუგდიდის რაიონში განხორციელებული, მიმდინარე კონტროლის ღონისძიებების შედეგად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1552-ე მუხლით გათვალისწინებული, აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის – სიგარეტის (ჯამში 41.800 ღერი) აქციზური მარკის გარეშე, შენახვა-გადაზიდვის ფაქტები გამოავლინეს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 192-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეებს ჩამოერთვათ საქონელი. საქმის მასალები გაეგზავნა სასამართლოს“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

სერჟ სარგსიანის ძმისშვილზე საერთაშორისო ძებნა გამოცხადდა

სომხეთის ყოფილი პრეზიდენტის სერჟ სარგსიანის ძმისშვილზე, ნარეკ სარგსიანზე საერთაშორისო ძებნა გამოცხადდა. ამის შესახებ პრეს-კონფერენციაზე ქვეყნის პოლიციის უფროსმა ვალერი ოსიპიანმა განაცხადა.

– ნარეკ სარგსიანზე საერთაშორისო ძებნა გამოცხადდა. ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ უცხოელ კოლეგებთან მის დასაკავებლად, – განაცხადა ოსიპიანმა.

შეგახსენებთ, რომ სომხეთში ექსპრეზიდენტის ძმისშვილზე და მისი დაცვის წევრზე ძებნა 5 ივლისს გამოცხადდა. ის იარაღისა და ნარკოტიკების შენახვაშია ბრალდებული. სომხეთის ეროვნული უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა ასევე დააკავეს სარგსიანის ახლო მეგობარი, რომლის ბინაშიც ნარკოტიკებითა და პისტოლეტებით სავსე ჩანთა აღმოაჩინეს.

აშშ-მ უკრაინის მხარდამჭერი მორიგი ჟესტი გააკეთა

ამერიკული სადესანტო ხომალდი „კორსონ სიტი“ შავ ზღვაში შევიდა. ამ ხომალდს აუცილებლობის შემთხვევაში შეუძლია, ამერიკელი საზღვაო-ქვეითები აზოვის ზღვასთან გადაიყვანოს.

სამხედრო ექსპერტ ოლეგ ჟდანოვის აზრით, ამერიკული სადესანტო ხომალდის გამოჩენა შემთხვევითი არ არის. აშშ მზადაა, რუსეთთან დაპირისპირებაში უკრაინის გვერდით დადგეს.

– ახლა მთავარია, არ შევდრკეთ და რუსების წინაშე ქედი არ მოვიხაროთ, – ამბობს ჟდანოვი.

ესპანეთში ნარკოტიკების შეტანისას კრიმინალური დაჯგუფების წევრები დააკავეს

ესპანეთის სამოქალაქო გვარდიამ კრიმინალური დაჯგუფების წევრები დააკავა, რომლებსაც ესპანეთში ნარკოტიკები შეჰქონდათ.

სპეცოპერაციის შედეგად, სამართალდამცველებმა ხუთი პირი დააკავეს და 850 კილოგრამზე მეტი ჰაშიში ამოიღეს.

აღნიშნულ დაჯგუფებასთან დაკავშირებით გამოძიება მას შემდეგ დაიწყო, რაც მალაგას პროვინციაში კატარღაში რამდენიმე ასეული კილოგრამი ნარკოტიკული ნივთიერება აღმოაჩინეს.

აღსანიშნავია, რომ 2017 წელს ესპანელმა სამართალდამცველებმა საერთო ჯამში 477 ტონა ნარკოტიკული ნივთიერება ამოიღეს.

ინდოეთში ავტობუსის ხევში გადავარდნის შედეგად 12 ადამიანი დაიღუპა

ინდოეთში, ჯამუ და კაშმირის შტატში ავტობუსი ხევში გადავარდა, დაიღუპა სულ მცირე 12 ადამიანი, კიდევ 2 მძიმედ დაშავდა. ამის შესახებ ადგილობრივი პოლიცია იუწყება.

სამართალდამცველების ინფორმაციით, ავტობუსი, რომელსაც მომლოცველები გადაჰყავდა, ხევში კაშტვარის რაიონში გადავარდა.

წინასწარი ინფორმაციით, ავტობუსის მძღოლმა გზის რთულ მონაკვეთზე მართვაზე კონტროლი დაკარგა, რაც ტრაგედიის მიზეზი გახდა.

12 ადამიანი ადგილზე გარდაიცვალა, კიდევ ორი მომლოცველი კრიტიკულ მდგომარეობაში საავადმყოფოში გადაიყვანეს.

სატანისტებმა არკანზასის კანონმდებლებს ორმეტრიანი კერპი მიუტანეს

არკანზასის შტატის კაპიტოლიუმის წინ ორგანიზაცია „სატანის ეკლესიის“ მომხრეების დემონსტრაცია გაიმართა.

რამდენიმე ათეულმა დემონსტრანტმა ქალაქ ლითლ-როკში თავი მოიყარა ლოზუნგებით, რომლებიც ეკლესიის სახელმწიფოსგან გამოყოფას მოითხოვენ. ამის მიზეზი გახდა შტატის კანონმდებლების განზრახვა, კაპიტოლიუმში ათი მცნების ძეგლი დაიდგას. „სატანის ეკლესია“ მიიჩნევს, რომ რელიგიური პლურალიზმისა და სიტყვის თავისუფლების შესანარჩუნებლად მის გვერდით უნდა დაიდგას ბაფომეტას ქანდაკება – ღვთაება, რომელსაც თითქოსდა ტამპლიერები ეთაყვანებოდნენ.

მიტინგზე სიტყვით ხუთი ორატორი გამოვიდა, მათ შორის „სატანის ეკლესიის“ ერთ-ერთი დამაარსებელი. გარდა ამისა, მათ წარმოადგინეს თხის თავიანი ქალი, ჩლიქებიანი ბაფომეტას ორმეტრიანი ფიგურა, რომელიც პენტაგრამიან ტახტზე ზის. ორგანიზაცია საკუთარი მოთხოვნების შესრულებას სასამართლოს ძალით შეეცდება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჩეჩნეთი: თავდასხმები პოლიციელებზე

ჩეჩნეთის სხვადასხვა რაიონში პოლიციელებზე თავდასხმების მთელი სერია განხორციელდა. თავდამსხმელებმა გამოიყენეს დანები და ბომბები.

თავდამსხმელები 17-18 წლის მოზარდები იყვნენ. ყველა მათგანი პოლიციელების მიერ გახსნილი საპასუხო ცეცხლის შედეგად დაიღუპა.

პოლიციელები არ დაზარალებულან.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მეშვიდე სართულიდან გადმოვარდნილი ძაღლი გადარჩა

ბრაზილიის ქალაქ ვიტორაიში ძაღლი მეშვიდე სართულიდან გადმოვარდა და ცოცხალი გადარჩა.

ჯეკ-რასელ-ტერიერი სახელად ლაკი („იღბალა“) სახლის ფანჯრის რაფაზე იწვა და ზურგით დამცავ ბადეზე იყო მიყრდნობილი, რომელიც ფანჯარაზე იყო დამაგრებული. ბადე მოულოდნელად გაიხა, ცხოველმა თავის შემაგრება ვეღარ მოასწრო და 23 მეტრის სიმაღლიდან გადმოვარდა. ვარდნის დროს ძაღლი ჯერ ჩარდახზე დაეცა, შემდეგ კი – მიწაზე.

ძაღლის პატრონი თავის შვილთან ერთად სასწრაფოდ ეზოში ჩავიდა, ძაღლი აიყვანა და ვეტერინარულ საავადმყოფოში წაიყვანა. გასინჯვის შემდეგ გაირკვა, რომ ძაღლი ცოცხალი იყო. მას არ აღმოაჩნდა მოტეხილობები, თუმცა ფილტვის ჰემატომა და მუცლის ღრუში სისხლდენა აღენიშნებოდა.

საავადმყოფოში გატარებული სამი დღის შემდეგ ტერიერი სახლში დაბრუნდა და, პატრონის თქმით, ისევ იმავე ფანჯრის რაფაზე სძინავს.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

სხვადასხვა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის ანევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ლიბერია ვენგერს დააფასებს



ლიბერიის მთავრობა ფრანგ სპეციალისტ არსენ ვენგერს მადლობის ნიშნად დააჯილდოებს. ლიბერიელი ხალხი ვენგერს იმისთვის ემადლიერება, რაც აფრიკული ქვეყნის პრეზიდენტისთვის გააკეთა.

რით გამოიხატება ვენგერის გაკეთებული საქმე? მან ჟორჟ ვეას გაუხსნა გზა დიდი ფეხბურთისკენ. ყველაფერი კი მონაკოს მწვრთნელობის პერიოდში დაიწყო – ვენგერმა ვეას ნიჭის ირწმუნა და მას შანსი მისცა, ძირითად გუნდში ეთამაშა.

ვენგერთან ერთად ლიბერიის მთავრობა კლოდ ლე რუასაც დააჯილდოებს. სწორედ მან ურჩია ვენგერს, ვეასთვის ყურადღება მიექცია და გუნდში აეყვანა.

ვენგერსა და ლე რუას ჯილდო 24 აგვისტოს გადაეცემათ ლიბერიის დროშის დღესთან დაკავშირებულ საზეიმო ღონისძიებაზე.

ჟორჟ ვეა ერთადერთი აფრიკელი ფეხბურთელია, რომელმაც ოქროს ბურთის მოპოვება შეძლო. ეს 1995 წელს მოხდა, ვეას მილანში თამაშის დროს.

2018 წელს ჟორჟ ვეამ ლიბერიის საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა.

ული ჰიონესი: „მაგიურ 100 მილიონს ვერ ვიშოვით“

მიუნხენის ბაიერნის პრეზიდენტმა ული ჰიონესმა რეკორდმაისტერის სატრანსფერო პოლიტიკაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ხელმძღვანელობას დიდი შრომა აქვს ჩადებული იმაში, რასაც დღეს კლუბმა მიაღწია. აქედან გამომდინარე, მიღწეულის განადგურება და კლუბის კუთხეში მიმწყვდევა არ სურს.

ული ჰიონესი:

– რა თქმა უნდა, კვლავ მინდა ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლა და მოგება, მაგრამ არ მსურს ვალით შესყიდვების განხორციელება. ჩვენი ვალია ჩვენივე გულშემატკივრების და წევრების გახარება მაქსიმალური შესაძლო წარმატებებით, მაგრამ ამავე დროს, ჩვენ მაქსიმალურად სერიოზულები და ეკონომიურები უნდა ვიყოთ. ჩვენ არ გვაქვს იმის საშუალება, რომ მაგიურად 100 მილიონი მივიღოთ, როგორც ამას ზოგიერთი კლუბი აკეთებს. ჩვენ ბევრი ვიმუშავეთ, იმისათვის რომ ამ სიტუაციაში ვყოფილიყავით და არ შეგვიძლია ყველაფრის განადგურება და კლუბის კუთხეში მომწყვდევა. ჩვენთვის კარგი იქნება, თუ ბაიერნსა და სხვა კლუბებს შორის სხვაობა შემცირდება. ეს ზეწოლასაც გაზრდის და ჩვენს მაჩვენებლებსაც. თუ თქვენ მუდამ სატურნირო ცხრილის სათავეში იმყოფებით 15-20 ქულიანი სხვაობით, მაშინ ზეწოლაც არ იქნება მაღალი და, მე ვფიქრობ, ეს იმოქმედებს ჩვენზე ჩემპიონთა ლიგის ტურნირზე თამაშისას.

იუვენტუსი ნახევარმცველებს ვერ ელევა

ტურინის იუვენტუსის ნახევარმცველი სამი ხედირა პსუ-ს ინტერესთა სფეროშია მოქცეული.

პარიზული კლუბის ხელმძღვანელობა გერმანელის საფეხბურთო აგენტს დაუკავშირდა და კონკრეტული შეთავაზება გააცნო..

თავის მხრივ, იუვენტუსი არ აპირებს ფეხბურთელთან განშორებას და სულ მალე არსებული კონტრაქტის კიდევ ერთი წლით გახანგრძლივებას გეგმავს.

მეტიც, იუვენტუსი თავად ეძებს კიდევ ერთ ნახევარმცველს და ამის შესახებ აპენინური მედია ახალ ცნობებს აქვეყნებს.

აწ უკვე დასრულებული სატრანსფერო ფანჯრის პერიოდში მოსალოდნელი იყო, რომ იუვენტუსი ნახევარმცველს შეიძენდა, თუმცა რონალდუს მოსვლის შემდეგ ბიანკონერის გეგმები შეიცვალა.

ტურინული გამომცემლობის მტკიცებით, კლუბის ხელმძღვანელობამ დუეტმა უკვე დაიწყო მუშაობა ამ მიმართულებით და შესაფერის კანდიდატს ზაფხულში გაიფორმებენ.

იტალიელი ჟურნალისტების ინფორმაციით, ბიანკონერი სამ შესაძლო ვარიანტს განიხილავს – მილინკოვიჩ-სავიჩი, პოგბა და რაბიო.

როგორც იტყობინებიან, ამ ჩამოთვლილთაგან რაბიო ყველაზე რეალური შესაძლებლობაა სიტუაციიდან და ფინანსური ასპექტიდან გამომდინარე.

შენგელია ბასკონიაში რჩება

საქართველოს ნაკრების ფორვარდი თორნიკე შენგელია 2022 წლამდე ესპანური ბასკონიის ღირსებას დაიცავს.

ასეთი ინფორმაცია 2 კვირის წინათაც გავრცელდა, თუმცა ოფიციალურად აქამდე არც ქართულ მხარეს და არც კლუბ ბასკონიას არ დაუდასტურებია.

საბოლოოდ, ბასკური კლუბის ვებგვერდზე თორნიკეს გუნდში დარჩენასთან დაკავშირებით შემდეგი ინფორმაცია გამოქვეყნდა:

– შენგელია ვიტორიაში 2022 წლამდე ითამაშებს. მან გააფორმა ახალი კონტრაქტი, რომლის მიხედვით იგი ევროლიგის ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი კალათბურთელი იქნება. ხელშეკრულებაში საინტერესო ოფციაა: არც ერთ ევროპულ გუნდს არ აქვს კალათბურთელის გადაყვანის შანსი. ხოლო თუ შენგელიას გადაბირებას ნბა-ს კლუბი მოისურვებს, ოკეანისგაღმელებს ბასკონიის ხელმძღვანელობასთან დალაპარაკების და გარკვეულ თანხად კონტრაქტის გამოსყიდვის უფლება აქვთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მეგაკონტრაქტის გაფორმებით შენგელიას ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში გადასვლას ტაბუ არ დადებია. ძალიანაც კარგი, არაერთხელ დაგვიწერია, რომ იგი ნაბ-ს ეკუთვნის.

შეგახსენებთ, ქართველი ფორვარდი ბასკონიაში გასულ სეზონში ევროლიგაზე საშუალოდ 13.7 ქულას, 6.6 მოხსნასა და 2.2 პასს აგროვებდა.

თორნიკემ მცირე კომენტარი გაიკეთა:

– ჩემი ოჯახი ძალიან ბედნიერია ვიტორიაში ცხოვრებით. ყოველწლიურად ვცდილობ კიდევ უფრო უკეთ ვითამაშო, ვიდრე წინა სეზონში. ყოველთვის შევეცდები, საკუთარი თავისგან მაქსიმუმი გამოვწურო, როგორც მოედანზე, ისე გასახდელში, ვიყო გუნდის ნამდვილი ლიდერი. ის, რომ ფინალური ოთხეულის თამაშები ჩვენთან გაიმართება, გუნდისთვის ზეწოლა კი არა, დამატებითი მოტივაციაა. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ საუკეთესო შედეგს მივაღწიოთ. ვფიქრობ, შეგვიძლია ავისრულოთ ოცნება და ევროლიგის ოთხთა ფინალი მშობლიურ ქალაქში ვითამაშოთ. ინდივიდუალური მიზნები ამ დროს გვერდით უნდა გადავდოთ და გუნდურად ვიფიქროთ. როგორც ყოველ სეზონში, ახლაც უნდა შევეცადოთ, რაც შეიძლება შორს გავაღწიოთ ევროლიგაზე. მე ტიტულის მოგება მსურს და მიმაჩნია, რომ ამ გუნდმა და ამ ფანებმა ეს ნამდვილად დაიმსახურეს. ყველამ იცის გასახდელში, რომ ეს არის ჩვენი მთავარი მიზანი. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ამ სეზონში ტიტული მოვიგოთ.

ნიკა ამაშუკელს ქართული რაგბი ახალ სიმაღლეზე აჰყავს

24 აგვისტოს 2 ქართველი მსაჯი რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში გაემგზავრება, სადაც 10 სექტემბრამდე დარჩებიან და მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა „ალაფაზე“ იმსაჯებენ.

23 წლის ნიკა ამაშუკელი ტურნირზე მოედნის მსაჯადაა მიწვეული, ხოლო თორნიკე გვირჯიშვილი კიდის მსაჯი იქნება.

რუმინეთში 2019 წლის 20-წლამდელთა მსოფლიო თასის საგზურისთვის 8 გუნდი იბრძოლებს: ა ჯგუფში რუმინეთი, სამოა, ნამიბია და ჰონგ კონგი ითამაშებენ, ხოლო ბ ჯგუფში ფიჯი, კანადა, ურუგვაი და პორტუგალია. ჯგუფური ეტაპის შეხვედრები 28 აგვისტოს, 1 და 5 სექტემბერს გაიმართება, ხოლო 9 სექტემბერს ფინალური მატჩების დღეა.

ნიკა ამაშუკელი:

– მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა „ალაფა“ საკმაოდ მაღალი რანგის შეჯიბრია და სასიამოვნოა, რომ საქართველო რუმინეთში 2 მსაჯით იქნება წარმოდგენილი. მე მოედნის მსაჯად ვარ მიწვეული, ხოლო თორნიკე გვირჯიშვილი ზედიზედ მეორე წელია კიდის მსაჯი იქნება.

– 2016 წელს ზიმბაბვეში მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა „ალაფაზე“ თავად კიდის მსაჯად იყავი მიწვეული.

– 2 წლის წინ ჩემი მუშაობით კმაყოფილები დარჩნენ და მაშინ ფინალურ შეხვედრაში პირველ გვერდით მსაჯად დამნიშნეს. მაშინვე მითხრეს, რომ მომავალში მოედნის მსაჯად დამიძახებდნენ და პირობა შეასრულეს. აქტიურად ვემზადები, როგორც ფიზიკურად, ასევე თეორიულად. „ალაფაზე“ საკმაოდ ძლიერი გუნდები არიან წარმოდგენილი და კარგი ტურნირი უნდა გამოვიდეს. ბუქარესტში ყველაზე ახალგაზრდა მსაჯი ვიქნები, კონკურენტები ჩემზე 4-6 წლით უფროსები არიან, თუმცა ვეცდები თავი საუკეთესოდ წარმოვაჩინო და ფინალური მატჩის მსაჯობის უფლება დავიმსახურო.

– მსოფლიო რაგბის მსაჯთა კორპუსის ხელმძღვანელმა ალან როლანმა სამხრეთ აფრიკაში პირადად მიგიწვია. სწორედ ამის შემდეგ გადაწყდა შენი ტურნირზე მოედნის მსაჯად დანიშვნა.

– სამხრეთ აფრიკაში, სტელენბოშის სპორტულ აკადემიაში ყოველ წელს იმართება მეორე დონის ქვეყნების მსაჯთა, მწვრთნელთა, ფიზმომზადების მწვრთნელთა და ვიდეოანალიტიკოსთა მსოფლიო რაგბის სემინარი. საქართველოდან მხოლოდ თორნიკე გვირჯიშვილი იყო მიწვეული, მაგრამ პირადად ალან როლანმა მომწერა და სამხრეთ აფრიკაში ჩასვლა მთხოვა. სემინარები 21-28 ივლისს გაიმართა, რის შემდეგაც „ალაფაზე“ მოედნის მსაჯად დამნიშნეს. ბუქარესტში მსოფლიო რაგბი ახალი წესების გამოცდას გეგმავს. მე და გვირჯიშვილი ვიქნებით ერთ-ერთი პირველები, რომლებიც ამ ექსპერიმენტებს გავეცნობით.

– მხოლოდ ამით არ სრულდება საერთაშორისო გამოცდილების მიღება. კონტინენტის ფარზე ოქტომბრის დასაწყისში შოთა თევზაძესთან ერთად, შარშანდელის მსგავსად, მსაჯთა 2 ბრიგადა იმუშავებს.

– გასული სეზონი ორივე ბრიგადამ მაღალ დონეზე ჩავატარეთ და კარგი შეფასებები მივიღეთ. შედეგად, ვიმსაჯე კონტინენტის ფარის ნახევარფინალი. მეორე ნახევარფინალს ირლანდიელი, ხოლო ფინალს უელსელი მსაჯები მოემსახურნენ და ამ კომპანიაში ჩვენი გარევა სასიამოვნო იყო. პარიზიდან უკვე მივიღეთ მიწვევა და წელსაც აუცილებლად ვიქნებით კონტინენტის ფარზე, რის შემდეგაც მაქვს იმედი, რომ გაისად ჩელენჯ ქაფზე დაგვაწინაურებენ.

– საერთაშორისო დონეზე ყოველი გასვლა და ქართველ მსაჯთა დონის ამაღლება სასიკეთოდ აისახება დიდი 10-ის ჩემპიონატზე?

– მოთამაშეები, მწვრთნელები, მსაჯები – ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ საერთაშორისო დონეზე ქართველი მსაჯების გამოჩენა და წინსვლა დადებითად აისახება შიდა ჩემპიონატის დონეზე. ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენი ჩემპიონატი უკეთესი გახდეს და ყოველ საერთაშორისო ტურნირში ჩართვა ამისკენ გადადგმული მორიგი ნაბიჯია.

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

16 წლის მოზარდი მოპედით ხეს შეეჯახა

ყვარელში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 16 წლის ბიჭი დაშავდა. მოზარდი მოპედით მოძრაობდა, რა დროსაც ხეს შეეჯახა. დაშავებული კატასტროფის ცენტრის ბრიგადამ თელავის რეფერალურ საავადმყოფოში თავის არეში მიყენებული დაზიანებებით გადაიყვანა.

შედეგები

20 აგვისტო
ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა
კრ.პალასი-ლივერპული 0:2

საატენიო ცხრილი:

1.სიტი	2	2	0	0	8-1	6
2.ლივერპული	2	2	0	0	6-0	6
3.ჩელსი	2	2	0	0	6-2	6
4.უოტფორდი	2	2	0	0	5-1	6
5.ტოტენჰემი	2	2	0	0	5-2	6
6.ბორნმუთი	2	2	0	0	4-1	6
7.ევერტონი	2	1	1	0	4-3	4
8.ლესტერი	2	1	0	1	3-2	3
9.მანჩესტერი	2	1	0	1	4-4	3
10.კრ.პალასი	2	1	0	1	2-2	3
11.ბრაიტონი	2	1	0	1	3-4	3
12.ნიუკასლი	2	0	1	1	1-2	1
13.საუთჰემპტონი	2	0	1	1	1-2	1
14.ვულვზი	2	0	1	1	2-4	1
15.ბარნლი	2	0	1	1	1-3	1
16.კარდიფი	2	0	1	1	0-2	1
17.არსენალი	2	0	0	2	2-5	0
18.ფულემი	2	0	0	2	1-5	0
19.ვესტ ჰემი	2	0	0	2	1-6	0
20.ჰადერსფილდი	2	0	0	2	1-9	0

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი
ვალენსია-ატლეტიკო 1:1
ბილბაო-ლეგანესი 2:1

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი
ხიმნასტიკი-ტენერიფე 1:1

საფრანგეთი. მე-2 ლიგა
მეცი-აიაჩო 3:1

პორტუგალია. პრიმეირა ლიგა
გიმარაეში-ფეირენსე 0:1

ხუსეთი. პრემიერლიგა
დინამო-უფა 3:0

თურქეთი. სუპერლიგა
ქაშიმფაშა-ბაშაქშეჰირი 2:1

ჩეხეთი. 1 ლიგა
სიგმა-ბანიკი 1:4

პოლონეთი. ექსტრაკლასა
სლასკი-პოგონი 0:0

დანია. სუპერლიგა
ჰორსენსი-ოლბორგი 0:0

შვედეთი. ალსვენსკა
გიოტებორგი-ესტერსუნდი 2:1
გიოტებორგის პირველი გოლი გიორგი ხარაიშვილმა პირდაპირ კუთხურიდან გაიტანა
ჰამარბი-იორებრო 2:0

ნორვეგია. ელიტსერია
ბოდო გლიმდტი-ოდ გრელანდი 1:1

ფინეთი. ვეიკაუსლიგა
ლახტი-როვანიემი 2:3
სეინეიოკი-ილვესი 1:2

7 თვეში დანაშაულის რაოდენობა 55%-ით გაიზარდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკა ამბობს, რომ დანაშაული 55%-ით არის გაზრდილი. 2018 წლის 7 თვეში სულ რეგისტრირებულია 33.054 დანაშაული, როცა 2017 წელს, დროის იმავე მონაკვეთში, რეგისტრირებული დანაშაულის რაოდენობა 21.214 იყო.

დანაშაულის ზრდის პარალელურად შემცირებულია მისი გახსნის მაჩვენებელი. თუ 2017 წელს შსს-მ რეგისტრირებული დანაშაულის 53.82%-ის გახსნა შეძლო, ეს მონაცემი 2018 წლისთვის 36.67%-მდე შემცირდა.

ყველაზე მეტი დანაშაული 2018 წლის პირველ 7 თვეში საკუთრების წინააღმდეგ ჩაიდინეს, სულ 13.256 შემთხვევა. დანაშაულის ეს ქოლგა-სახელი მოიცავს ისეთ დანაშაულებს, როგორებცაა ქურდობა, ყაჩაღობა, ძარცვა, თაღლითობა, გამოძალვა, ნივთის დაზიანება.

რაოდენობრივად მეორე ადგილს იკავებს დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ. 2018 წლის 7 თვეში რეგისტრირებულია 6.311 შემთხვევა. ჯანმრთელობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული მოიცავს ისეთ დანაშაულებს, როგორიცაა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე და ნაკლებად მძიმე დაზიანება, ოჯახში ძალადობა და სხვა.

ასევე რაოდენობრივად მოწინავე ადგილზეა ნარკოტიკული დანაშაული, რომელიც, შსს-ს ცნობით, 2018 წლის 7 თვეში 2.533-ჯერ დაფიქსირდა.

გლდანის №8 საპყრობილის ყოფილ უფროს ინსპექტორს პატიმრობა მიესაჯა

გლდანის №8 საპყრობილის ყოფილ უფროს ინსპექტორს 5 წლამდე პატიმრობა ემუქრება. მას დაკავებულისგან ჩვენების ძალადობით მიღება ედება ბრალად.

რეჟიმის განყოფილების ყოფილ უფროსს ექვსი წლით პატიმრობის აღკვეთა მიესაჯა და თანამდებობის დაკავების უფლება 3 წლის ვადით ჩამოერთვა.

„ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის გამოყენებით მას სასჯელი ?-ით შეუმცირდა და საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 6 თვის ვადით, თანამდებობის დაკავებას კი ის 2 წელი და 3 თვე ვერ შეძლებს.

ბარსელონა რაკიტიჩის გაყიდვას არ აპირებს

ბარსელონა ივან რაკიტიჩის გაყიდვას არ აპირებს, რადგან ერნესტო ვალვერდე თვლის, რომ რაკიტიჩი მის გუნდში მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს. ზაფხულში გავრცელდა ჭორები იმის შესახებ, რომ რაკიტიჩი პსჟ-ს ფეხბურთელი გახდებოდა, მაგრამ ბარსელონამ ეს ტრანსფერი დაბლოკა.

რაკიტიჩი ბარსელონაში 2014 წელს გადავიდა და მას შემდეგ ის ამ გუნდის ერთ-ერთ ლიდერად ითვლება, თუმცა მას ზოგჯერ მას აკრიტიკებენ ხოლმე და თვლიან, რომ ის არასტაბილურია.

ბარსელონაში გადასვლამდე რაკიტიჩი სევილიის ღირსებას იცავდა.

რაფინია შესაძლოა ბეტისში გადავიდეს

ბარსელონის ბრაზილიელი ნახევარმცველი რაფინია ალკანტარა შესაძლოა ბეტისში გადავიდეს. რაფინიას აგენტი სევილიაში იმყოფება და ბეტისთან მოლაპარაკებებს აწარმოებს. რაფინიას ბარსელონიდან წასვლა სურს, რადგან კატალონიურ გუნდში დიდი კონკურენციაა და რაფინიას სათადარიგოთა სკამზე მოუწევს ჯდომა.

შარშან რაფინია მილანის ინტერში იყო განათხოვრებული.

რეალს მარკოს ალონსოს შეძენა სურს

მადრიდის რეალს ჩელსის ესპანელი მცველის, მარკოს ალონსოს შეძენა სურს. რეალი მზად არის, ამ ტრანსფერში 30 მილიონი ევრო გადაიხადოს, მაგრამ ჩელსი გაცილებით მეტს მოითხოვს. არისტოკრატები ალონსოს მხოლოდ იმ შემთხვევაში გაუშვებენ, თუ რომელიმე გუნდი მის ტრანსფერში 50 მილიონ ევროს გადაიხდის.

ალონსოს შეძენა მადრიდის ატლეტიკოსაც სურს, თუმცა 50 მილიონის გადახდას არც ის აპირებს, ამიტომ ალონსო, სავარაუდოდ, ჩელსიში დარჩება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ვეშაპმა მეთევზეთა ნავი გადააბრუნა

მეთევზეთა ნავი გადაბრუნდა ამერიკის ნიუ-ჯერსის შტატის სანაპიროსთან, მას შემდეგ, რაც წყლის ზედაპირზე ამოყვინთული ვეშაპი დაეჯახა.

ორი მეთევზე დასახლებულ პუნქტ დილიდან კილომეტრ-ნახევარში ანკესებით თევზაობდა.

– და მოულოდნელად ჩვენ წინ უზარმაზარი ცხოველი ამოიზარდა! – დაწერა ინციდენტის აღწერის დროს ფეისბუქში საკუთარ გვერდზე ნიუ-ჯერსის პოლიციის წარმომადგენელმა.

ამის შედეგად ნავი გადაბრუნდა და ორივე მეთევზე წყალში აღმოჩნდა. საბედნიეროდ, არცერთი მათგანი არ დაშავებულა.

ავსტრალიელმა მოღალატე შეყვარებულს მანქანა დაუსვარა და არ დასჯილა

შეყვარებულის ღალატით გამწარებულმა გოგონამ მისი მანქანა შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოხატა. ყოფილი შეყვარებული მის წინააღმდეგ ბრალდების წაყენებას არ აპირებს.

ინციდენტი სამხრეთ ავსტრალიის შტატის ქალაქ ადელაიდაში მოხდა. გოგონამ სპეციალური საღებავით ყოფილი მეგობარი მამაკაცის ძვირადღირებულ ავტომობილზე დააწერა სიტყვები „მოღალატე“, „მეძავი“ და „მექალთანე“. შემდეგ მან რამდენჯერმე დაარტყა მერსედეს-ბენც ს63 ამჯ კუპეს ბეისბოლის ჯოხი. თვითმხილველები ამტკიცებენ, რომ ეს მას შემდეგ გააკეთა, როდესაც მამაკაცმა მას უთხრა, რომ მისგან სხვა გოგონა იყო ფეხმძიმედ.

მანქანის მფლობელმა პოლიციას განუცხადა, რომ არ აპირებს ყოფილ მეგობარ გოგონას ბრალდება წაუყენოს. მან მანქანის სახელოსნოში თავად გადაყვანა არ მოისურვა და ევაკუატორი გამოიძახა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის თანამშრომლებს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ფიზიკურად გაუსწორდნენ

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ხე-ტყის უკანონო ტრანსპორტირების ფაქტი გამოავლინეს.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქალაქეები 4 ერთეული თხმელას სახეობის მორის უკანონო ტრანსპორტირებას ახდენდნენ. ავტოსატრანსპორტო საშუალების გაჩერების შემდეგ, ერთ-ერთი მოქალაქე გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებს ფიზიკურად გაუსწორდა და ერთ-ერთ მათგანს სხეულის დაზიანება თავის არეში მიაყენა.

აღნიშნულ ფაქტზე, შსს-ს ბაღდათის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 1986 წელს დაბადებული ი. ღ. სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლით დააკავეს, რაც საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ წინააღმდეგობას, მუქარას ან ძალადობას გულისხმობს.

ასტროპროგნოზი

22 აგვისტოსთვის

ვერძი – კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან კონფლიქტი გელით. ეცადეთ, ნებისმიერი პროვოკაცია თავიდან გონივრულად აიცილოთ. **კურო** – ახალი წამოწყება გაამართლებს. ბედი გწყალობთ. სამსახურში ერიდეთ ინტრიგებში ჩართვას. **ტყუპები** – ჯანმრთელობას მიხედეთ. ორგანიზმი გაიწმინდეთ. მიიღეთ ჯანსაღი საკვები. ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდე შეინარჩუნეთ. **კირჩხიბი** – ნუ იაქტიურებთ და ნურც იჯიუტებთ. მოულოდნელი ინფორმაცია გეგმებს შეგიცვლით. **ლომი** – სხვისი გავლენის ქვეშ ნუ მოექცევით. მიენდეთ ინტუიციას. ემოციები აკონტროლეთ. **ქალწული** – უარი თქვით მოგზაურობასა და მივლინებებზე. ფინანსებს გაუფრთხილდით. **სასწორი** – გაიფართოვეთ ცოდნის არეალი. მოსალოდნელია ცვლილებები კარიერაში. **ღრიანკალი** – მოაწესრიგეთ საოჯახო საქმეები. შემოქმედებითი პოტენციალი დღეს მძლავრობს. **მშვილდოსანი** – საყიდლებზე წასვლა დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ. ნავაჭრით კმაყოფილი დარჩებით. **თხის რქა** – შესაფერისი დღეა საქმიანი მოლაპარაკებებისათვის, რაც თქვენი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების გარანტია იქნება. **მერწყული** – ეს დღე პირადი ცხოვრების მოწესრიგებით დაიწყეთ. ოდნავ დაბნეული ხართ. **თევზები** – დაძაბული ეტაპი გაქვთ. თუ მის გადალახვას მოახერხებთ, მიზნის მიღწევაში ხელს ვეღარაფერი შეგიშლით.

გისუჰვებთ ბედნიეჰ დღეს!

ჯოსვოჰდი ბ



შვეულად: 1. ვეშაპებზე სანადირო სატყორცნი იარაღი; 2. მზის საჩრდილობელი ქოლგა; 3. ელექტრონული მუსიკალური ინსტრუმენტების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 4. მდინარე დუნაის ძველი სახელწოდება; 5. კართაგენელი მხედართმთავარი; 8. უდაბნო აფრიკის სამხრეთში; 12. ქართული სპორტული გაზეთი; 13. ენის ბგერითი შედგენილობის შემსწავლელი ენათმეცნიერების ნაწილი; 14. ცხარე საწებელი; 16. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი მარტვილის რაიონში; 18. ყვითელი ფერის მკვრივი, გამჭვირვალე, ფისოვანი მინერალი; 20. ყველაზე დაბალი რეგისტრის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი.

თარაზულად: 6. აეროპორტი მილანში; 7. ბალერინას ძირითადი კლასიკური პოზა; 8. ფოტოაპარატების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 9. ქალაქის თვითმმართველობის ორგანო იტალიაში; 10. უბანი თბილისში; 11. ყველაზე მსუბუქი ქიმიური ელემენტი; 15. ამერიკელი ილუზიონისტი; 17. მეცნიერების, ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწე; 19. თამაში-გამოცანა; 21. ტკბილი, არომატული სპირტიანი სასმელი; 22. გერმანული ყველი; 23. ესპანელი საოპერო მომღერალი ქალი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. შელფი; 2. ორფოლო; 4. შაბლონი; 5. პლაზმა; 6. ბრაშპილი; 7. სიტროენი; 10. ატაშე; 12. ბულდოგი; 13. სპეკალი; 16. მირაჟი; 17. „ჩხავერი“; 18. პოკერი; 19. ფაველა; 21. „ბრერა“.

თარაზულად: 3. ბერქშირი; 8. კრუიფი; 9. ბროკჰაუზი; 11. ამქარი; 12. ბეტონი; 14. ლელუში; 15. კაპიტანი; 20. გუბაზი; 22. სალხინო; 23. ბახი; 24. რაგტაიმი; 25. ცემი; 26. გვრინი; 27. ყანნი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბუკლეტი; 2. ტალავარი; 3. ნობათი; 4. გოქჩა; 5. ნიკოლაძე; 8. კარაკასი; 12. აუდი; 13. ტრაქტატი; 14. ანდები; 16. ფაზენდა; 18. უწერა; 20. დუმა.

თარაზულად: 6. ჩურჩხელა; 7. აპოთეოზი; 8. კალასი; 9. ბედია; 10. ფაგოციტი; 11. ტალახაძე; 15. ბრიჯსტოუნი; 17. სინემა; 21. გალერეა; 22. დილეტანტი; 23. პანტერა.

„ღამის სერენადები“ მსოფლიო ვარსკვლავებს გააერთიანებს

26 აგვისტოს ბათუმში სტარტს აიღებს საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „ღამის სერენადები“, რომელიც უკვე მეათედ გაიმართება.

ბათუმსა და თბილისში ფესტივალის ფარგლებში 5 კონცერტი ჩატარდება, სადაც ქართველ მუსიკოსებთან ერთად, მსოფლიოში აღიარებული ვარსკვლავებიც მიიღებენ მონაწილეობას.

როგორც „ღამის სერენადების“ დირექტორმა ნინა ცაგარელმა განაცხადა, იუბილესთან დაკავშირებით, უამრავი სასიამოვნო სიურპრიზი იგეგმება:

ნინა ცაგარელი, „ღამის სერენადების“ დირექტორი:

– წელს ისევ შენარჩუნდება ქალბატონი ლიანა ისაკაძის ფესტივალის უნიკალური ფორმატი და სულისკვეთება, თუმცა იქნება ბევრი სიახლეც იუბილესთან დაკავშირებით.

ფესტივალი გაიმართება 26, 28, 29 აგვისტოს ბათუმში სასტუმრო შერატონის საკონცერტო დარბაზში და 2 და 4 სექტემბერს თბილისში კონსერვატორიის დიდ დარბაზში.

პროგრამა იქნება ძალიან მრავალფეროვანი, გვეყოლება სოლისტები ამერიკიდან, იტალიიდან, უნგრეთიდან. ფესტივალის საპატიო დირიჟორია ვახტანგ მაჭავარიანი, სოლისტი – ალექსანდრე კორსანტია, რომელიც შეასრულებს გალინა უსტვოლსკაიას კონცერტს. ეს იქნება საქართველოში ამ ნაწარმოების პირველი შესრულება.

ასევე გვეყოლება უნიკალური მევიოლინე გეზა ჰოსზუ-ლეგოცკი, რომელიც ვუნდერკინდი ბავშვის სახელით არის ცნობილი, თუმცა ახლა კი გაიზარდა და ვუნდერკინდი მევიოლინეა. მას „წითელი ვიოლინოს“ ლეგენდარული ფილმის გადაღებებშიც აქვს მონაწილეობა მიღებული.

დარწმუნებული ვართ, რომ X საიუბილეო ფესტივალის „ღამის სერენადების“ ხუთივე საღამო ფართო საზოგადოებისთვის დაუვიწყარი ემოციებისა და ჭეშმარიტ ხელოვნებასთან ზიარების საღამოები იქნება.

ამიტომ დავგეგმოთ სასიამოვნო საღამოები კლასიკური მუსიკის თანხლებით.

ავსტრიაში ქართული ბიბლიოთეკა გაიხსნება

ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი გიორგი კეკელიძე თავის გუნდთან ერთად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ქართულ ბიბლიოთეკებს ხსნის.

24 აგვისტოს ქართული ბიბლიოთეკა ავსტრიაში გაიხსნება.

გიორგი კეკელიძე:

– ამ ჯერზე სხვა ფორმატის გზა ავირჩიე და შესანიშნავ ხალხთან ერთად ავტობუსით გადავლახეთ თურქეთი, ბულგარეთი, სერბეთი, რუმინეთი, უნგრეთი და უკვე ავსტრიაში ვარ, ვენაში. აქ ავსტრიის ქართველთა სათვისტომო გვმასპინძლობს და 24 აგვისტოს ქართულ ბიბლიოთეკასაც მოვუწყობთ, მერე ლექციას წავიკითხავ და ჩემი წიგნის წარდგენა გაიმართება. იქვე ქუთაისელ და გალში მცხოვრებ პატარა მხატვრების გამოფენაც გაიმართება ძალიან აქტიური ქუთაისის ახალგაზრდული ცენტრის ორგანიზებით.

დააბრუნეთ იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“!

ამ მოწოდებით უფლებადამცველი გიორგი თევზაძე გამოდის და განათლების სამინისტროსგან სკოლებში იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ დაბრუნებას მოითხოვს:

– მივმართავ განათლების მინისტრს! დააბრუნეთ გოგებაშვილის „დედა ენა“, ნუ უმახინჯებთ და უბლაგვებთ ბავშვებს ტვინს!

გიორგი თევზაძის ინიციატივას ინტერნეტში ათასობით თანამოაზრე გამოუჩნდა. ქართველი საზოგადოება მათი შვილებისთვის იაკობ გოგებაშვილის „დედა ენით“ სწავლების მომხრეა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

გველის მიერ დაკბენილი პასტორის შვილი პასტორი გახდა და გველმა დაკბინა

ამერიკის კენტუკის შტატის ქალაქ მიდლსბოროში შხამიანმა გველმა ქადაგების დროს ორმოცდაათიანელთა პასტორს უკბინა. მამამისი, რომელიც ასევე პასტორი იყო, ოთხი წლის წინ გველის ნაკბენისგან დაიღუპა.

27 წლის კოდი კუტსი მრევლს საკურთხevლიდან ქრისტეს სახელით ხელში გველით მიმართავდა. როდესაც ქვეწარმავალი სახესთან მიიტანა, მან ის თავის არეში დაგესლა.

– არ გაჩერდეთ, – დაიყვირა პასტორმა, რომელსაც გველი ისევ ხელში ეჭირა, – სულაც არ ვნერვიულობ! თქვენც ნუ შეწუხდებით! უფალი მკურნალია!

დასისხლიანებული პერანგით მდგარმა პასტორმა მრევლს მოსთხოვა, რომ მისთვის თავი დაენებებინათ და უფლის დახმარებას დალოდებოდნენ. მალე შხამმა მოქმედება დაიწყო და ის ცუდად გახდა. ორმა მლოცველმა ის ასწია, გარეთ გაიყვანა და საავადმყოფოში წაიყვანა. როგორც გაირკვა, გველის ნაკბენმა პასტორს საძილე არტერია დაუზიანა, თუმცა ექიმებმა მისი გადარჩენა მაინც მოახერხეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

შვილები ვალერი, რუსუდან ზუხბაიები, შვილიშვილები თამარ, ლადო გოგიები, დავით ზუხბაია, სიძე თეიმურაზ გოგია, რძალი მანანა შენგელია, დისშვილი დათო რურუა ოჯახით, ძმისშვილი სოსო ქორჩილავა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მერი იოსების ასული ქორჩილავა

პანაშვიდი: 21, 22 აგვისტოს, 17 საათიდან.
დაკრძალვა: 23 აგვისტოს, 14 საათზე.
მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზირი 2, ბინა 3.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

გურამ ქართველიშვილი: „შვილებს რა ვუყოთ?“

– კითხულობს მწერალი გურამ ქართველიშვილი და შვილების მომავლისთვის უფროსი თაობისგან მეტ ქმედებას ითხოვს:

– ჯერ კიდე ვართ თაობები, რომლებიც ქართულ ფასეულობებს და წინაპრის ხსოვნას ვინახავთ, მაგრამ ვერაფერს ვაკეთებთ მომავალი თაობების ამავე სულისკვეთებით აღსაზრდელად. შვილები ლიბერასტულ განათლების სისტემაზე გვყავს მიბარებული და მშვიდად ვაგრძელებთ ცხოვრებას. ეს ქვეყანა კი ვინ უნდა ჩაიბაროს ხვალ, ამაზე ერთი მუჭა ადამიანი ფიქრობს.

დრო მიდის და ის ოდნავადაც არ მუშაობს ქართული სახელმწიფოებრიობის ხვალეზე. ზოგჯერ თქმაც აღარ მინდა სათქმელის, რადგან იდეოლოგიის წყლის დასხმისკენ რომ მოვუწოდო ქართველებს, მეშინია, მთლად არ შევძულდე საზოგადოებას. არადა შვილებს რა ვუყოთ? როგორ დავტოვოთ ასეთი უსულგულოები სამშობლოს მიმართ და საკუთარ კულტურასთან გაუცხოვებულები? ეს ხომ ფაქტურად ხვალინდელობის არარსებობაა საქართველოსთვის?

ერთი კი ცხადია, ისტორია მეორდება და ქართული გენეტიკური კოდიც იგივეს იმეორებს, რაც არაერთხელ გაუმეორებია ისტორიის მანძილზე. ქართველი უკიდურესობას ელოდება. ძალიან უნდა გაუჭირდეს, თავისი უმოქმედობის და წაყრუების მწარე შედეგები უნდა იგემოს, ფიზიკურად უნდა შეეხოს დღეს დათესილი და აღსასრული უნდა იგრძნოს. აი მერე იგივე კოდი უბიძგებს მოქმედებისკენ, მაგრამ მსოფლიო დროა უმძიმესი და ვაი თუ დააგვიანდეს...

ჯერ სძინავს, ასე თუ ისე მშვიდობა აქვს. ტყუილებით გამოტენილი მოჩვენებითი მშვიდობა. მერე რა, რომ ქვეყანა მიუდის ხელიდან? თავს იტყუებს „ხვალემ იკითხოს ხვალისა“ მოქმედებს მასში...

არადა, რომ ვიცოდეთ, ჩემო ქართველებო, რა მკაცრად და დაუნდობლად მოგვკითხავს ხვალე ხვალისას. აი ის „ხვალე“, რომლის ასაშენებლადაც დღეს თითის განძრევაც კი გვეზარება... ჯერ არ გაგვჭირვებია, ჯერ „ვტკბებით“.

დიმა ჯაიანი 68 წლის გახდებოდა



მსახიობი დიმა ჯაიანი 68 წლის გახდებოდა. წელს ხელოვანის დაბადების დღე პირველად აღინიშნა მის გარეშე. მსახიობის ოჯახის წევრებმა, მეგობრებმა და კოლეგებმა დიმა ჯაიანი კიდევ ერთხელ გაიხსენეს.

სოხუმის თეატრის მსახიობი და აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი სიმსივნით რამდენიმე თვის წინ გარდაიცვალა.

ნანა ხურითი სოხუმის თეატრის მსახიობი:

– მახსენდება მისი ბოლო შეხვედრა მაყურებელთან. საგანგებოდ არც მოემზადა. ვინც იცნობს დიმას, მათ იციან, თუ რა საოცარი, გადამდები ენერგიის მატარებელია. ადიოდა სცენაზე, სიყვარულის ქარიშხალს დააყენებდა, გაგვახსენებდა კიდევ ერთხელ ვისი გორისა ვართ, გვატირებდა, პატრიოტულ გრძნობებს გაგვიღვივებდა! კიდევ თავიდან, სხვანაირად, ახლებურად შეგვაყვარებდა საქართველოს და ტკივილნარევ იმედს გვაყოლებდა თან. დიმას ჰქონდა უნარი, თანაბრად ყოფილიყო ყველა კუთხის შვილი. დიმას თვალებით დანახული საქართველო მიყვარს!

ციდან ჩამოვარდნილმა ცხვარმა მოზარდი დააშავა

დიდ ბრიტანეთში მოზარდმა მას შემდეგ დაკარგა გონება და საავადმყოფოში ამოჰყო თავი, როდესაც მას მოულოდნელად ზევიდან ჩამოვარდნილი ცხვარი დაეცა.

ინციდენტი ჩრდილოეთ ირლანდიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე მორნის მთებში მოხდა. მოზარდების ჯგუფი იქ სალაშქროდ გაემგზავრა და როდესაც ხეობას მიუახლოვდნენ, ერთ-ერთ მათგანს ზევიდან ცხვარი დაეცა. ყმაწვილმა გონება დაკარგა, მისმა თანამგზავრებმა კი დაუყოვნებლივ გამოიძახეს მაშველები.

მოზარდს, რომელმაც თავის, კისრის, ზურგის, მუცლის და ფეხების დაზიანებები მიიღო, პირველადი სამედიცინო დახმარება ადგილზევე აღმოუჩინეს. შემდეგ საკაცით გზამდე გადაიყვანეს, იქიდან კი სასწრაფო დახმარების მანქანით საავადმყოფოში.

მაშველების თქმით, ცხვარი ამ ჩამოვარდნის შედეგად არ დაშავებულა, ის მაშინვე წამოხტა და გაიქცა.

ცეკვის აკადემია თელა

გიწვევთ სამეჯლისო-სპორტული ცეკვების შესასწავლად

**მსურველები მიიღებიან ასაკობრივ ჯგუფებში;
ჩაწერა იწარმოებს 20 აგვისტოდან!
მისამართი: აკ.წერეთლის 126
Email: Academytela@yahoo.com
ტელ: 599-77-80-08**

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

22 აგვისტოსთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ
დოლარი
— 2.5558

ევრო
— 2.9154

ინგლისური გირვანქა
სტერლინგი
— 3.2556

100 რუსული
რუბლი
— 3.8054

ამინდის პროგნოზი 22 აგვისტოსთვის

ფეხმძიმე მინისტრი სამშობიაროში ველოსიპედით მივიდა

ახალი ზელანდიის ქალების საქმეთა მინისტრი ჯული ჯენტერი სამშობიაროში მეუღლესთან ერთად ველოსიპედით მივიდა.

– შესანიშნავი კვირა დილაა საავადმყოფომდე ველოსიპედით მისასვლელად, იმისთვის, რომ ბოლოს და ბოლოს ვიმშობიარო. როგორც იქნა, ეს მომენტიც დადგა, წარმატება მისურვეთ! – დაწერა ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე ჯენტერმა. მან იქვე განმარტა, რომ ველოსიპედი სატრანსპორტო საშუალებად იმიტომ შეარჩია, რომ ავტომობილში „მხარდამჭერი გუნდისთვის“ ადგილი საკმარისი არ იყო. მისი თქმით, ველოსიპედით მგზავრობამ მშობიაროობის წინ განწყობა აუმაღლა.

„მწვანეთა“ პარტიის 38 წლის დეპუტატი საკუთარ სამშობლოში ცნობილია როგორც თავგადაკლული ველოსიპედისტი. უფრო მეტიც, ჯენტერი თავის ძირითად სამუშაოსთან ერთად შეთავსებით ტრანსპორტის მინისტრის მოადგილის მოვალეობასაც ასრულებს. აღსანიშნავია, რომ ველოსიპედით მგზავრობა ფეხმძიმე ქალბატონისთვის ზიანის მომტანი ან რთული არ ყოფილა. გზის უმეტესი ნაწილი სწორ გზაზე გადიოდა, ამასთან მომავალმა მშობლებმა სატრანსპორტო საშუალებად ელექტროველოსიპედები შეარჩიეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ანეკდოტი

მამაკაცი სასტუმროს მფლობელს ეკითხება:

– თქვენ საცურაო აუზში მტკნარი წყალია?

– დილით მტკნარია, მაგრამ საღამოსთვის მარილიანი ხდება.

•••

კაცი ადვოკატს რჩევას ეკითხება:

– ჩემს მეზობელს ჩემი ვალი აქვს ათასი ლარი და არ მიბრუნებს. როგორ მოვიქცე, რომ დავიბრუნო?

– ამის წერილობითი მტკიცებულება გაქვს?

– არა, ისე, სიტყვაზე ვენდე და მივეცი.

– მაშინ წერილი გაუგზავნე და მოსთხოვე, რომ დაუყოვნებლივ დაგიბრუნოს ორი ათასი ლარი.

– კი მაგრამ, მას ჩემი ათასი ლარი მართებს!

– ისიც სწორედ მასე გიპასუხებს და ეს იქნება წერილობითი მტკიცებულება.

•••

ერთი დაქალი მეორეს ეკითხება:

– შენი ტყუპების სურათს ვერ მაჩვენებ? ძალიან მაინტერესებს, როგორები არიან.

– როგორ არა, აი, ნახე.

– კი მაგრამ, აქ ხომ მხოლოდ ერთის სურათია.

– მეორეც ზუსტად მასეთია.

•••

ახლად დაოჯახებულს სიდედრი ესტუმრა. მაგიდასთან სხედან. სადილობენ. სიდედრი დიდი კედლის საათის ქვეშ ზის. სადილი დაამთავრა, ადგა და ხელების დასაბანად გავიდა. ამ დროს საათი ჩამოვარდა. კაცმა უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა:

– ეს ოხერი საათი სულ როგორ უნდა იგვიანებდეს.

•••

ცოლი ქმარს საყვედურობს:

– არამ, როგორ შეგეძლო ახალთახალი სკამის გატეხვა, როგორ შეგეძლო ახალთახალი ჭაღის დამტვრევა. ჩემი გული ამას ვერ გადაიტანს... სხვაგან ვერ ჩამოიხრჩვე თავი?!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

BOAI

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით

მანჩო გიორგობიანი „ჩემი ცოლის დაქალების“ სცენარისტის წინააღმდეგ

გახმაურებული ქართული სერიალის „ჩემი ცოლის დაქალების“ სცენარისტს ქეთი დევდარიანს მანჩო გიორგობიანი კატეგორიულად აფრთხილებს, აღარ გაუწიოს პროპაგანდა ნარკოტიკებს:

– სანდროს გეფიცებით, თუ ყველას არ დავუარო და არ დავანგრევინო, ვინც ნარკოტიკების, სულ ერთია რომლის, „უვნებლობაზე“ ბოდავს საჯარო სივრცეებში... საკუთარ „ქუხნაში“ რაც გინდათ ის ილაპარაკეთ, არავინ გიშლით!

თქვენ, მე, დებილი ხომ არ გგონივართ ზოგ-ზოგიერთებს, ლეგალიზაცია-დეკრიმინალიზაციაზე ლაპარაკის სოუსის ქვეშ, პირდაპირ პროპაგანდას რომ ეწევით, ნარკოტიკის მოხმარების, გეჩვენებათ, ვერ ვხდები, თქვენი ვიწრო თვალსაწიერით?! ვისაც არ გესმით, რას ჩადიხართ, ჯერ აგიხსნით და თუ ვერ შეიგნეთ, აი, მერე ჩაგახედებთ 90-იანებში, ძალიან მწარედ და მტკივნეულად, თან. ყველა კი არ დავხოცილვართ, დაგივლით სათითაოდ-მეთქი. ყველა ამ-ყვება, ყველა, ჩვენ დასაკარგი აღარაფერი გვაქვს.

აბა, ადამიანურად „მაგნებს“ არ ესმით და, სამწუხაროდ, კანონი არ კრძალავს ამ იმბეცილების ენის ტლიკინს, ჯერ!

კანონით აიკრძალება ოდესმე ეს პროპაგანდა, რაშიც ზოგიერთი ნაძირალა გრანტს იღებს და ზოგიერთი, უბრალოდ განუვითარებელი იდიოტია, ვერც კი ხვდება, რა ზიანი მოაქვს მომავალი თაობისთვის, რომელიც ჯერ მაგიდის ქვეშ დარბის, ტელევიზორის გარშემო. ბავშვებს ტვინში რა ელექებათ, აზრზე ხართ, საერთოდ?!

სახალხოდ ვაცხადებ, კანონს არ დაველოდები, სათითაოდ მოგაკითხავთ და დაგლეწავთ! მუქარა და მერე შესრულება, როგორი ვიცი, კი უნდა გახსოვდეთ!

პირველ რიგში ჩა-გრანტულ-დაგრანტულებს მოგადგებით, დაგაინვალიდებთ, თქვე უბედურებო, სულ რომ ციხეში მომიწიოს წასვლა!

„ჩცდ“-ს სცენარისტ ქეთი დევდარიანს ვაფრთხილებ, პირველ რიგში! გადაეცით!

კიდევ ერთხელ სერიალში ჩაუშვებ ნარკოტიკის პროპაგანდას, გიმეორებ, სულ ერთია რომლის, აი, მერე დამელოდე, რასაც გიზამ რა!

ნიჭიერი გოგო ხარ, თავს გაუფრთხილდი, სანამ ლამაზი ხარ! გასაგებია?!

ქვეყანას დივერსიას უწყობთ თქვე დოქსოპულოებო, 90-იანების დივერსიულმა და დავირუსებულმა ნარკოტიკმა რა უქნა ქვეყანას, სადამდე დაიყვანა, რა, დავიჯერო, არც იცით და არც არაფერი გაგიგიათ, თუ ყურს უყრუებთ და არ იმჩნევთ?!

დაგხოცავთ, თქვე არაადამიანებო! არაფერზე უკან არ დავიხევ! და ვინმეს თუ გეჩვენებათ, რომ ციხეში მოხვედრის შემეშინდება, აი, ძალიან მწარედ სცდება!

პროკურატურა დამიკავშირდეს, ველი!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კლაუდიო ბრავომ ტრავმა მიიღო

მანჩესტერ სიტის მეკარე კლაუდიო ბრავომ გუნდის ერთ-ერთ ვარჯიშზე მყესი დაიზიანა და მისი საავადმყოფოში გადაყვანა გახდა საჭირო. ჯერჯერობით უცნობია, თუ რამდენ ხანს იუქმებს ბრავო, მაგრამ მას შეესაძლოა ოპერაციაც კი დასჭირდეს, ამიტომ ის მინიმუმ რამდენიმე თვე თავის გუნდს ვერ დაეხმარება.

ბრავო არ არის სიტის პირველი მეკარე, მაგრამ, გვარდიოლას თქმით, მისი ტრავმა მაინც დიდი დანაკლისი იქნება მანჩესტერელებისთვის.

ბრავო 23 აგვისტოს ბარსელონაში გაფრინდება, სადაც მას დამატებით გამოკვლევებს ჩაუტარებენ.

ლაიპციგი ტიმო ვერნერის გაყიდვას არ აპირებს

ლაიპციგი თავისი ლიდერის ტიმო ვერნერის გაყიდვას არ აპირებს. ვერნერის შეძენა ზაფხულში ბევრ გუნდს სურდა, მათ შორის მიუნხენის ბაიერნსაც, მაგრამ, როგორც ჩანს, ტიმო ისევ ლაიპციგში დარჩება.

ვერნერი გერმანიაში ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ახალგაზრდა ფეხბურთელად ითვლება და ის გერმანიის ნაკრების წევრიც არის. მსოფლიო ჩემპიონატზე ვერნერმა თავი ვერ გამოიჩინა და ცუდად ითამაშა, ისევე, როგორც მთელმა გერმანიის ნაკრებმა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. მინერალური წყალი სამეგრელოში; 2. ქართული ხალხური ცხენოსნური თამაში; 4. ფლანდრიელი მხატვარი; 5. ცნობილი ფრანგი ძიუდოისტი; 6. საწყლოსნო სპორტის ერთ-ერთი სახეობა; 7. შვედური კომპანია „იკეას“ მფლობელი; 10. ოპერა „რიგოლეტოს“ პერსონაჟი; 12. თიხის ფლეიტა; 13. ქართული ტელეკომპანია; 16. ტროპიკული ხილი – ინდისხურმა; 17. სწრაფმავალი მოტორიანი სპორტული ნავი; 18. მიქელანჯელოს ქანდაკება; 19. მრგვალი, მოგრძო ბალიში; 21. კვების გარკვეული რეჟიმი.

თარაზულად: 3. ჩქარი მატარებელი; 8. ბრიტანული ყველი; 9. საფეხბურთო სტადიონი ბუენოს-აირესში; 11. აშშ-ის პრეზიდენტი; 12. შავი და თეთრი შრეებიანი მინერალი, აქატის ნაირსახეობა; 14. დიდებულთა მემკვიდრეობითი წოდება ესპანეთში; 15. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული დიდი მახრჩობელა გველი; 20. გურული შრომის სიმღერა; 22. უდაბნო ჩილეში; 23. ფიჯის დედაქალაქი; 24. მადერას მარკის ღვინის დასამზადებლად გამოყენებული პორტუგალიური ვაზის ჯიში; 25. ხეობა სტეფანწმინდის რაიონში; 26. კურორტი ხაშურის რაიონში; 27. ყველაზე დიდი ტბა იტალიაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა